საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათს, 6 ივლისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 150 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 150

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული.
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი დამწუხრებული აუწყებს სახალხო გვარდიელებს და მოქალაქეთ, რომ ადერბეიჯანთან ომის დროს მტრისგან ტყვეთ წაყვანილი და ცემისაგან დასნეულებული იმერეთის 2 ბათალიონის გუნდის უფროსი

ნიკო ალექსის ძე გოგაძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 5 ივლისს. ცხედრის გასვენება სამშობლოში (ხონში) მოხდება 6 ამა ივლისს რკინის გზის ლაზარეთიდან საღამოს სრულ ექვს საათზე.

(ნ. 1—1)

შ. ს. მუშათა მაგიდის განცხადება.

ყველა მუშა და მოსამსახურეები, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო მომარაგების ფონდით, მიიღებენ ამა წლის 1-ლ ივლისიდან: შაქარს, ჩაის და ასანათს ამ ნორმით: სულზე 2 გირვანქა შაქარს 17 მანეთად გირ., ჩაი $^1/_4$ გირვანქას სულზე 100 მ. გირ. და ასანათი 1 კოლოფი სულზე—1 მ. 50 კ. ცალი.

ზემოაღნიშნულ სურსათს მიიღებენ იმავე წესით, რა წესითაც იღებენ პურს შეერთებულ ჯგუფებით. ჯგუფების რწმუნებულნი ვალდებულნი არიან შეიტანონ მთელი ჯგუფის ფული მუშათა მაგიდის სალაროში და ორდერის მიღების შემდეგ მიმართონ ოფიცერთა ეკონომიურ მთავარ მაღაზიაში კიროჩნის ქუჩაზე.

მუშათა მაგიდის სალარო ღიაა ამ ორდერების შესაძენათ ყოველ დღე 9—1 საათამდე, ხოლო საზოგადოების მაღაზია ღიაა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მუშებსა და მოსამსახურეებს წინადადება ეძლევათ დაჩქარებით შეიტანონ ფული, რადგანაც სურსათის ძლევა შესწყდება 15 ივლისს.

შრომის სამინისტრო. (ნ.—5—5)

თფილისის მაზრის ერობის გამგეობა აცხადებს რომ ა. წ. 18 ივლისს გამგეობის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 6) დილის 10 საათზე შესდგება

მაზრის ხმოსანთა მეშვიდე ყრილობა

რომელიც განიხილავს ახალ საანგარიშო წლის ბიუჯეტს და სხვა მიმდინარე საკითხებს. (2190—1—1)

თფილისის ტელეფონის ქსელის უფროსისაგან თფილისის ტელეფონის ქსელის სარგებლობის შესახებ.

დადგენილების მე-16 §-ის თანახმად, კანცელარია ჩემდამი რწმუნებული ქსელისა უკვე შეუდგა აბონენტებისაგან მიმდინარე წლის მეორე ნახევრის ტელეფონების სარგებლობის ხვედრ გადასახადების შეკრებას. ვაცხადებ რა ამას ვთხოვ ბ. აბონენტებს შეეცადონ ხვედრი გადასახადი აუცილებლათ შემოიტანონ ამა წლის ივლისის 10-ამდის. ის პირები რომელნიც აღნიშნულ რიცხვისათვის არ შემოიტანენ ხვედრ გადასახადს ჩაითვლებიან როგორც არა მსურველნი ტელეფონით სარგებლობისა და ტელეფონის აპარატი მათ დაუყონებლივ ჩამოერთმევათ.

ქსელის უფროსი. (ნ. 1—1)

გიაურ-არხის სახელმწიფო მამულის გამგე აცხადებს
საჭიროა დიდძალი მუშები:
კაცი და ქალი
ხელფასი გადიდებულია.
(2188—2—1)

ექიმი
ნიკოლოზ სიმ.-ძე **ხეჩინოვი**
იღებს საბებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.
2048—თ.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
საზაფხულოთ წავიდა წაღვერში, ბორჯომის ახლო. აგარაკი მიხაილოვისა.
მიღება ავათმყოფებისა: დილით 8—12 საათამდე კვირაობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
(1989—10—6)

ჩვენი გზა

სოციალიზმის განხორციელება ერთი უდიდესი პრობლემაა დღევანდელი ევროპის. ეს საკითხი თეორიული დებულებათა სფეროდან პრაქტიკულ სფეროში გადავიდა.

ევროპის მუშათა კლასის პარტია ს.-დემოკრატია დღეს თავს ატეხს არა სოციალიზმის თეორიულ დასაბუთებას, არამედ მის განხორციელების გზებს და საშუალებებს. მთელი აზროვნება თეორეტიკოსებისა და პრიქტიკოსების ამ მთავარ ამოცანისკენ არის მიმართული.

პატარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე იგივე საკითხი ისმება მთელი თავის სიგრძე-სიგანით. და ჩვენ უნდა მას გავცეთ სათანადო პასუხი.

მარქსისტული აზრი სოციალიზმის განხორციელების პირობებზე გარკვეულია. ამ პირობებს შეადგენს: საწარმოვო ძალთა განვითარების უმაღლეს წერტილამდე ასვლა, როცა იგი აღარ ეტევა კერძო საკუთრების ფარგლებში და მის გაუქმების მოთხოვნილებას აყენებს. და სოციალისტური შეგნება ამ გარდაქმნის განმახორციელებელი კლასის პროლეტარიატის, რომელიც იკრებს თავის გარშემო ერის უმრავლესობას და ასე, მთელი საზოგადოების გამომხატველი ხდება.

ევროპაში ომმა დიდათ დააქვეითა საწარმოვო ძალები, მათი განადგურების გამო. მაგრამ სამაგიეროთ თვით პრობლემა ამ ძალების სწრაფი და ნაყოფიერი განვითარებისა, მთელი თავის სიმწვავით დააყენა. ამით სოციალისტური პრობლემა, თუმცა შედარებით ცუდ პირობებში, მარა მთელი სიძლიერით ისმება.

მეორე მხრივ ომმა თვით მუშათა მასსაში შეგნება კლასობრივი ბრძოლისა და საზოგადოების ახალ საფუძველზე გარდაქმნისა—გაასკეცა. სოციალიზმის იდეებით გაიჟღინთა ჰაერი, როგორც ელექტრონით გრგვინვა-მეხის წინ.

საქართველოს შესახებ—ჩვენ ვერც პირველის და ვერც მეორის შესახებ ვერ ვიტყვით, რომ აქაც ევროპიული პირობები იყოს განხორციელებული. პირ-იქით, ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილია როგორც ეკონომიურათ, ისე შეგნების მხრივ. ამ უკანასკნელი წლების რევოლიუციური ბრძოლით ჩვენ შევძელით საბოლოოთ განადგურება ფეოდალური ურთიერთობის, მისი საკუთრების ფორმების, მაგრამ ბურჟუაზიის განადგურებისთვის ჯერ კიდევ არ დამდგარა შესაფერი ჟამი. ამ უკანასკნელს არ ამოუწურავს ყველა თავის შესაძლებლობა.

საბჭოთა რუსეთმა სცადა ამ პრობლემის დეკრეტებით და სისხლით გადაჭრა—ბურჟუაზიის განადგურებით. მაგრამ ამით მხოლოთ ქვეყნის განადგურება მიიღო და არა სოციალიზმი. ცხადია, პრობლემა გადაუჭრელი დარჩა და მხოლოდ საშინელი ტკივილები და გაცრუებული იმედები დასტოვა.

საქართველოში ამ ექსპერიმენტების გადმოტანა—ცხადია, ერთი ორათ უარესს შედეგებს მოიტანდა.

მაშ ხელს ვიღებთ ჩვენ სოციალიზმის განხორციელებაზე?

სრულიადაც არა. მაგრამ ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ისტორიულ პირობებს და ვმოქმედობთ შესაძლებლობის ფარგლებში.

საქართველო ჩამორჩენილია ევროპასთან შედარებით. ცხადია, მისი სოციალისტურათ გარდაქმნის პრობლემა დაკავშირებულია ევროპის პრობლემასთან. იქ თუ მოხდება გადატრიალება—იგი შესაძლებელი გახდება ჩვენშიაც. რამდენათაც იქ გახანგრძლივდება ეს პროცესი, იმდენათ გახანგრძლივდება ჩვენშიაც.

რუსეთის კომუნისტებმა ამ საკითხს უკუღმიდან მოუარეს. ჩვენ დავანთებთ ცეცხლს და ევროპის პროლეტარიატიც აგვყვებაო. მაგრამ ჩამორჩენილმა ქვეყანამ ვერ უჩვენა წინწასწრებულს მისი მომავლის სურათი. რუსეთის სურათს ვერ დაისახავს თავის იდეალათ ევროპის რევოლიუციური პროლეტარიატი.

ჩვენ ამ პრობლემას ისევ თავის ფეხებზე ვაყენებთ და ვამბობთ. ევროპამ უნდა მოგვცეს სურათი ჩვენი მომავლის. მოწინავე ქვეყანა უნდა გახდეს გზის მაჩვენებელი ჩამორჩენილის.

მაშ მანამდე თქვენ აქ ბურჟუაზიის ემსახურებითო?—შეგვეკითხებიან სარკასტიული ღიმილით კომუნისტები.

სცდებით, ბ-ნო კომუნისტებო, ვეტყვით ჩვენ. მანამდე ჩვენ ამ სოციალურ გადაქმნისთვის ნიადაგს ვამზადებთ, მისთვის ხელსაყრელ პირობებს ვქმნით. და პოლიტიკურ ძალა-უფლებას, რომელიც ჩვენს ხელთ არის, ამ მიზნისთვის ვიყენებთ.

გზის მაჩვენებლათ ჩვენ აქაც მარქსის მოძღვრება გვაქვს. იგი გვეუბნება, რომ კაპიტალის გადასვლას საზოგადოების ხელში წინ უძღვის ჯერ მთელი რიგი დემოკრატიული რეფორმების, სოციალური კანონმდებლობის და სხვ. მხოლოდ ამ გაპოხიერებულ ნიადაგზე შეიძლება საბოლოოდ განმტკიცება სოციალიზმის. იგი შენდება არა საწარმოვო ძალთა ნანგრევებზე, არამედ მათ განვითარების საფუძველზე. მაშასადამე უახლობელესი პრაქტიკული ნაბიჯებიც პოლიტიკურათ გაბატონებული მუშათა კლასისა ნათელი და აშკარაა. ესაა სახელმწიფოს აპარატის სრული დემოკრატიზაცია ერთი მხრით და სოციალისტური ეკონომიური პოლიტიკის წარმოება, მეორეს მხრივ. ამ გზით მიდის ჩვენი სოციალ-დემოკრატია. სულ-წასულებს, რომელთაც დაჩქარებით, ერთბაშად სურთ მიზნის განხორციელება, ეს ვერ დააკმაყოფილებს. მაგრამ სულწასულობა არასოდეს არ ყოფილა საბუთი და ვერც ახლა გამოდგება. მარქსიზმი ქადაგებს ისტორიის ჩარხის გაგებას და მიზან-შეწონილ მოქმედებას და არა აფუსფუსებას, მილეწ-მოლეწვას.

თანამედროვე კითხვები

XVI

ძველი პრინციპი ახალ პირობებში.

ხელში მაქვს ბალშევიკების ერთი საინტერესო გამოცემა: „მსოფლიო ომი და ინტერნაციონალი“. აქ მოგროვილია რეზოლიუციები, წერილები, განცხადებები ომის შესახებ. ეს მასალა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ის გზა, რომელიც გაუვლია ჩვენ საერთაშორისო ოჯახს პირველი დღიდან უკანასკნელამდე. აქედან მკითხველი გაიგებს, როგორ უყურებდა ომს პირველი და მეორე ინტერნაციონალი, როგორ ემზადებოდენ მთელი ქვეყნის სოციალისტები მსოფლიო ომის წინა დღეებში მის წინააღმდეგ საბრძოლველათ, და როგორ დამარცხდენ ისინი ამ ბრძოლაში. აქ სჩანს ინტერნაციონალის ძლიერება 47 წლის განმავლობაში და მისი უძლურება ხუთი წლის განმავლობაში.

ის ძლიერი იყო თავისი პრინციპებით, მსოფლმხედველობით, ის უძლური გამოდგა საქმით. არც ერთი სოციალისტი არ მოელოდა ომის გამოცხადებამდის ამისთანა სისუსტეს, 1914 წლის ივლისში მუშათა მოძრაობა არ განიცდიდა აზრთა სხვადასხვაობას. ცნობილი ჰომპერსი, რომელიც ამერიკაში დიდ ორგანიზაციას უდგას სათავეში და რომელსაც არა აქვს რა საერთო სოციალიზმთან, 31 ივლისს დეპეშით უთვლიდა გერმანიის პროფესიონალურ კავშირებს: წყეულ იყოს ყოველი ომი! დაიწყევლოს ავსტრია-სერბიის ომიც, ესა თუ ის გულმოდგინე ცდა მის შესაწყვეტათ კარგი და სამართლიანი საქმე იქნებაო.

ეს ერთსულოვნება ჩაიშალა მეორე დღესვე. ბალშევიკებს ამის ასახსნელათ ჰქონდათ და ახლაც აქვთ ძალიან უბრალო თეორია. მოღალატე სოციალისტებმა მუშათა კლასი ყველგან დააყენეს ყალბ გზაზეო. მათი გამოცემული წიგნი საუკეთესო საბუთია ამ თეორიის წინააღმდეგ. მუშათა კლასი ვერსად ვერ დადგა სწორ გზაზე, თუმცა მისი ხელმძღვანელი წრეები ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ, რომ ის არ მოშორებოდა ამ გზას. იყო გმირული მოწოდება, თავგანწირული ცდა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. აზროვნობა ვერ მოერეოდა სინამდვილეს და ვერც მოერია.

სოციალისტებს არ გადაუხვევიათ თავისი პრინციპებისთვის, და სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ისინი დაშორდენ ერთმანეთს მსოფლიო ომის დროს. დამარცხება არავისთვის არ იქნებოდა ხელსაყარი, ყველაზე უფრო მძიმედ ის მშრომელ ხალხს დაეტყობოდა. სოციალისტებმა ამიტომ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს თავდაცვის საქმეში, და არ შეიძლებოდა, არ მიეღოთ. „პირდაპირი“ ზომები რომ მიეღოთ თავდაცვის წინააღმდეგ, ისინი, იქნება, არ დაჰკარგავდენ ერთმანეთის ნდობას, მაგრამ ომს მაინც ვერ შეაჩერებდენ და თავის ანაბარათ მიტოვებულ მუშათა კლასისგან პასუხი მოეთხოვებოდათ.

არც ერთი მარქსისტი არ იყო და ვერც იქნებოდა თავდაცვის წინააღმდეგი. ბალშევიკებსაც არ გაუტარებიათ არსად საწინააღმდეგო აზრი. თავის ცნობილ დებულებებში 1914 წელს ლენინი საზღვარგარეთიდან სწერდა, სხვათა შორის,—ნაკლები ბოროტება იქნებოდა მეფის მონარქიის დამხობა ახლანდელი ომის დროსო (**наименшимъ зломъ было бы пораженіе царской монархій**). ეს საზოგადო აზრი ყოველთვის მისაღები იყო. ლენინს ამაზე მეტი არა უთქვამს რა, ის არ ურჩევდა რუსეთის მუშებს,—საომარ ასპარეზზე ნუ წახვალთ, დამარცხდეს თითონ რუსეთიო.

ლენინს უნდოდა რომ საერთაშორისო ომი შეჩერებულიყო საერთაშორისო ძალღონით. ეს უნდოდა დანარჩენ სოციალისტებსაც. მაგრამ სწორეთ ბალშევიკების მაგალითზე ისტორიამ დაგვანახვა, რომ მისი მიხვრამოხვრა არ არის დამოკიდებული მარტო მონდომებაზე. ციმერვალდის კონფერენციამ, როგორც ვიცით, მოინდომა, მაგრამ მისი მოწოდებაც დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. კიდევ უფრო მოინდომა კიენტალის კონფერენციამ, მისი ხმაც დაიკარგა გაგრძელებული ომის გრიალში. კიდევ და კიდევ უფრო მოინდომეს ბალშევიკებმა, მაგრამ ვერაფერს გახდენ. ბალშევიკების ხმა მოხვდა რიაზანელ-ასტრახანელი გლეხის გულს. ეს გლეხი ამბობდა, არ დავეძებ, აიღონ გერმანელებმა პეტროგრადიც, მოსკოვიც, ოღონდ ჩემ სახლში ნუ მოვლიანო. არ ქონდა შეგნებული ამ გლეხს რომ პეტროგრად-მოსკოვის აღება, მის სახლში მისვლაც იქნებოდა. ბალშევიკებს, რასაკვირველია, ასე არ ქონდათ წარმოდგენილი თავისი დაწყებული საქმის შედეგი. ცალკე ზავის მომხრე ისინი არ ყოფილან პირველათ. ზიზღით უარყოფდენ იმ ბრალდებას, რომ ვითომ ისინი მომხრე იყვნენ რუსეთის დამარცხების.

ბალშევიკურმა რევოლიუციამ ვერ შეუწყო ხელი ინტერნაციონალის აღდგენას, ის ახლა უფრო რუსეთის აღდგენისაკენ არის მიმართული. ინტერნაციონალური დროშის ქვეშ დაწყებული, ის ამ სამოქალაქო ომის დროს გადაიქცა ნაციონალისტურ რევოლიუციათ. ის ებრძვის ინგლისს, საფრანგეთს, იაპონიას, მთელ ქვეყანას... რუსეთის დასაცველათ. ასე იცის ისტორიამ...

ინტერნაციონალის ტრაღედია ომის დროს არ ყოფილა ისე თვალსაჩინო, როგორც აღმოჩნდა ომის შემდეგ. დარწმუნებული ვიყავით, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდება ერთმანეთს დაუახლოვებდა სოციალისტებს, და ძალიან მალე დაიწყებოდა საერთაშორისო თანამშრომლობა. ეს არ მოხდა და ვერც ხდება. თოფ-ზარბაზნების ხმა დიდი ხანია შესწყდა ევროპაში, მაგრამ სოციალისტურ ოჯახში ფესვგადგმული უნდობლობა ჯერ კიდევ არ კლებულობს. სამწუხაროთ ეს არ არის მარტო პსიხოლოგიური მოვლენა. ამას აქვს მატერიალური ნიადაგიც. გამარჯვებული ქვეყნების მუშათა კლასი ვერ გრძნობს, რომ მისი ინტერესები ძირიანათ ეწინააღმდეგება იმპერიალისტების ინტერესებს. თანხმობას უფრო გრძნობს, ვიდრე წინააღმდეგობას. ბრძოლის ველიდან სახლში დაბრუნებული უმუშევარი და დამშეული ხალხი, რა თქმა უნდა ახლავე მოძებნის ისეთ საქმეს, რომელიც შეამსუბუქებს მის მდგომარეობას. ინგლისის და საფრანგეთის მუშას უნდა, რომ თავიანთ ქვეყნებში დაინახონ ფეხზე დაყენებული და გაცოცხლებული მრეწველობა. ამისთვის საჭიროა ფული. ფულის წყარო, სხვათაშორის, გერმანიაზე დადებული კონტრიბუცია. ბალშევიკების ეკონომისტი არსკი „**Экономическая Жизнь**“-ში ამტკიცებდა, რომ გამარჯვებული ქვეყნები—ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და მათი პატარა მოკავშირენი ვერ მოაწყობენ წარმოებას, თუ გერმანიას დიდი კონტრიბუცია არ გადახდევინესო. საფრანგეთის მთავრობა მუშებს ეუბნებოდა,—ვერსალის ზავი თქვენთვისვე არის ხელსაყრელი და მემარცხენე სოციალისტები კი ამ სიკეთეს ეწინააღმდეგებიანო.

დამარცხებული ქვეყნების მუშათა კლასიც თავის ზედა წრეებთან უფრო ახლოს გრძნობს თავს, ვიდრე საზღვარგარეთელ მუშათა კლასთან. დამარცხებას მუშა უფრო გრძნობს. მრეწველობის გაცოცხლება, საწარმოო ძალების გამთელება აქაც საჭიროა მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. კლასთა ბრძოლა გაფიცვების საშუალებით არ გამოადგება დღევანდელ პირობებში. ბალშევიკური სამოქალაქო ომი ხომ სულ გამანადგურებელი იქნება მისთვის.

ორივე მხარის მუშათა კლასს გამოიყვანს ახლანდელი მდგომარეობიდან იმპერიალიზმის უარყოფა და სოციალიზმისკენ მიმართვა... ობიექტიური მდგომარეობა არასოდეს არ მოითხოვდა ამას ისე, როგორც დღეს. იგივე მუშათა კლასი იმავე დროს მომწყვდეულია ეროვნულ კედლებში. სუბიექტიურათ ის არასოდეს არ ყოფილა ისე დაშორებული ერთი მეორისგან, როგორც დღეს.

ეს დიდი წინააღმდეგობა დამახასიათებელია თანამედროვე მომენტის საერთაშორისო ასპარეზზე, და ინტერნაციონალის აღდგენა შეუძლებელი იქნება, სანამ არ მოისპობა ეს წინააღმდეგობა. შეიძლება მხოლოდ ცდა ინტერნაციონალის აღდგენის. ამ ცდამ ხელი უნდა შეუწყოს დღევანდელი კედლების დანგრევას და საერთაშორისო დროშის ამართვას. ახალმა ინტერნაციონალმა უნდა გააერთიანოს მთელი მუშათა კლასი, ის ვერ დაანაწილებს ამ კლასს პირველი და მეორე ხარისხის მოქალაქეებათ.

ამისთანა ცდას წინ ეღობება ე. წ. „მესამე ინტერნაციონალი“ ზინოვიევის მეთაურობით. ზინოვიევი მარქსის ტახტზე... ეს ერთ ერთი ნიშანია დღევანდელი მუშათა მოძრაობის ავათმყოფობის. ამ ინტერნაციონალს აზის აღმოსავლეთის ბეჭედი, ის აღმოსავლეთის პოლიტიკას ატარებს, ევროპიელ მუშათა კლასს სამოქალაქო ომს უცხადებს, ერთ ბანაკში აყენებს კლემანსო-ლოიდ ჯორჯს და კაუცკი-გიფერდინგს. ეს ინტერნაციონალი ჩამორჩენილი წრეების დროშაა მოწინავე რაზმების წინააღმდეგ. მუშათა კლასმა ის უნდა მოიცილოს თავიდან, როგორც ომისგან დაზიანებულ სხეულზე ამოსული მუწუკი.

ინტერნაციონალის აღდგენა ჯერ უფრო პოლიტიკური საკითხია, ვიდრე ორგანიზაციული. ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია შესწორების შეტანა იმ მარქსისტულ პოლიტიკაში, რომელიც სარჩულათ ქონდა პირველ და მეორე ინტერნაციონალს. ახალი ინტერნაციონალი უნდა იქნეს და იქნება მეორის გაგრძელება. ის არ აღდგება მექანიკურათ, ამა თუ იმ კრების მოწვევით, ამა თუ იმ რეზოლიუციის ან მანიფესტის ძალით, მისი აღდგენა იქნება ხანგრძლივი პროცესის შედეგი.

დემოკრატიული გზით სოციალიზმისკენ,—აი მარქსისტული პრინციპი პირველი და მეორე ინტერნაციონალისგან ნაანდერძევი და ეს ანდერძი უნდა გატარდეს ახალ პირობებში.

„კომუნისტის“ თანამშრომელი, ჩემი „შეუბრალებელი მოწინააღმდეგე“ ალბათ ერთხელ კიდევ ჩამაყენებს „უხერხულ მდგომარეობაში“ და იტყვის, რომ ომის დროს მე სულ სხვას ვწერდი. ამით ის ერთხელ კიდევ დაგვანახვებს თავის გაუგებლობას. მაშინ მე წინააღმდეგი ვიყავი გ. პლეხანოვის, რომელიც გერმანიის მუშათა კლასს არ არჩევდა გერმანიის იმპერიალისტებისგან, და ინგლის-საფრანგეთის მთავრობებს მაღლა აყენებდა გერმანიისაზე. აქ მე შეხედულება არ გამომიცვლია.

ს. დევდარიანი.

პრესა

„კომუნისტი“ განაგრძობს სრულიად უნაყოფო და უიმედო საქმეს—იმის მტკიცებას, რომ ნამდვილი რევოლიუციური და სოციალისტური პარტია არის საბჭოთა რუსეთის სათავეში მდგომი კომუნისტური პარტია და საქართველოს სათავეში მდგომი სოციალ-დემოკრატია კი ბურჟუაზიული და კონტრ-რევოლიუციონურია.

„ორივე პარტია ერთნაირი დაჟინებით და სიმტკიცით არწმუნებს ცას და ქვეყანას, რომ მის სახელმწიფოში მუშათა კლასია გაბატონებული.

მაგრამ სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ის ხომ მენშევიკებისგანაც აღიარებული ფაქტია, რომ რუსეთში 1917 წელს ოქტომბრის მეორე რევოლიუცია მოხდა. ხოლო საქართველოში (მადლობა ღმერთს), ასეთი ჯერ არაფერი მომხდარა.

რას გვეუბნება ეს ფაქტები? მხოლოთ იმას, რომ საქართველოში გაბატონებული დარჩა ის კლასი, რომლის ბატონობა რუსეთში მეორე რევოლიუციამ დაამხო. ე. ი. ბურჟუაზია. მხოლოთ ამით აიხსნება, ის გარემოება, რომ მხოლოთ საქართველოში აქვს ადგილი დღემდე ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს და ერთათ რეაქციონურ თავადაზნაურულსაც კი. ამის მსგავსს რუსეთში ხომ ვერაფერს ვხედავთ. სად გაქრენ, სად წავიდნენ ეს პარტიები? კადეტები, ათასი ჯურის ლიბერალები და ოქტომბრისტები? ალბათ ისინიც იმ გზას გაუდგენ, საითაც მათი მომავლინებელი კლასები იმყოფებიან: კონტრ-რევოლიუციის ბანაკში, ხოლო სამოქალაქო ცხოვრების ასპარეზზე მათ ალაგი აღარ მოექცევათ. ასე მოხდებოდა ჩვენშიაც. რომ სამოქალაქო ცხოვრების ასპარეზზე მუშები და გლეხები იყვენ გაბატონებულნი“.

აქ ყოველი სიტყვა ან სხვისი აზრის გადამახინჯებაა, ან წმინდა კომუნისტური არევ-დარევა. „კომუნისტმა“ აქ სრულიად აურდაურია რუსეთის პირობები საქართველოს პირობებს. იგინი, როგორც შეეფერება გაუსწორებელ იაკობინელებს, სქემებით და განყენებულ აზროვნებით მსჯელობენ და არავითარს ანგარიშს არ უწევენ კონკრეტულ პირობებს. დიახ, 1917 წელში რუსეთში მოხდა მეორე რევოლიუცია, საქართველოში ეს მეორე რევოლიუცია არ მომხდარა, მაგრამ განა აქედან უთუოდ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ საქართველოში დღეს გამეფებულია ბურჟუაზია? კომუნისტებს ავიწყდებათ ის უბრალო გარემოება, რომ საქართველოში 1917 თებერვლიდანვე რევოლიუციას სათავეში ერთბაშად მოექცა მუშათა კლასი, და არა ლიბერალები და კონსტიტუციონალისტები. ამ კლასმა თავიდანვე წამოაყენა გარკვეული პროგრამა—სოციალ-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის განხორციელება და ამ გზით პროგრამა-მაქსიმუმისაკენ—სოციალიზმისაკენ გზის გაკაფვა. ჩვენებური ბალშევიკები საქართველოში ებრძვიან არა გუჩკოვ-მილიუკოვებს, არამედ მუშათა კლასს, რომელიც სოციალიზმის სამეფოსკენ მიდის მედგარი ნაბიჯით. მაშასადამე **საქართველოს პოლიტიკასთან ბრძოლა არ არის ბრძოლა რევოლიუციისათვის, არამედ ეს არის ბრძოლა რევოლიუციასთან**, ეს არის წმინდა კონტრ-რევოლიუცია, ზოგჯერ შეგნებული (გაკომუნისტებული რუსი-ჩინოვნიკობა), ზოგჯერ შეგნებული (ჩვენი გზააბნეული თანამემამულე-კომუნისტები).

„კომუნისტს“ თავი მოაქვს, ყველა ყოფილი გაბატონებული კლასები გავანადგურეთ რუსეთშიო. სამწუხარო ის არის, რომ მათ გაანადგურეს არა მარტო გაბატონებული კლასები, არამედ მათ ყველაზე მეტათ გაანადგურეს ის კლასი, რომლის სახელსაც ფიცულობენ: **გაანადგურეს პროლეტარიატი.** რაც შეეხება საქართველოს, აქ კლასების ფიზიკური განადგურება არ მომხდარა, მაგრამ ამ კლასებს ბატონობის იარაღი ჩამოერთვათ და ამით **განადგურდა კონტრ-რევოლიუცია.**

რესპუბლიკის „მუდმივ ფორმაზე“ ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი.

* * *

„ახალი სხივი“ განაგრძობს ყრილობაზე დაწყებულ „ოპოზიციას“ და ახლა ის ყრილობის მუშაობის დაფასებაში გადააქვს, უკანასკნელ ნომერში ის სხვათა შორის ცენტრალურ ბეჭდვითი ორგანოებს „ერთობას“ და „ბორბას“ ეხება და ამბობს:

„საკანტროლო კომისიის მოხსენებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ „ერთობა-ბორბა“ არ იდგენ, თავის **პარტიულ** (ხაზი „ახ. სხივისაა“) დანიშნულების სიმაღლეზეო“. (№ 10)

„ახალი სხივი“ აწერს საკანტროლო კომისიას იმას, რაც მას, რასაკვირველია, არ უთქვამს. ალბათ „ახალ სხივს“ დაავიწყდა, რომ საკანტროლო კომისიის მოხსენება იყო დაწერილი და მისი გადაკეთება „სხივის“ სურვილის თანახმად შეუძლებელია. ამ მოხსენებაში კი სწერია შემდეგი: „ერთობის“ და „ბორბის“ პოლიტიკური ხაზი საერთოდ სწორათ იყო აღებული. ჩვენი გაზეთები არ იდგენ ოპოზიციაში ჩვენ მთავრობას, მასთან ერთად შინაურ და საგარეო პოლიტიკაში ატარებდენ ერთ ხაზს და ეს ასედაც უნდა ყოფილიყოო“. (ოქმი საკ. კომისიისა).

როგორც ხედავთ, საკანტროლო კომისია ადასტურებს, რომ ცენტრალური გაზეთების პოლიტიკური ხაზი სწორი იყო, რომ ისინი შინაურ და საგარეო პოლიტიკაში ატარებდენ ერთ ხაზს, არ იდგენ მთავრობას ოპოზიციაშიო და დაასკვნის: ეს ასედაც უნდა ყოფილიყოო.

რათ დასჭირდა „ახალ სხივს“ საკანტროლო კომისიაზე მიწერა იმის, რაც მას არ უთქვამს“.

საკანტრ. კომისია საყვედურობს იმას, რომ ჩვენი გაზ-ბი არ აქცევენ საკმარის ყურადღებას ჩვენი მთავრობის რომელიმე შემცდარ ნაბიჯს. აი მხოლოდ ეს სთქვა საკანტროლო კომისიამ და არა ის რომ ჩვენი გაზეთები არ იდგენ პარტიულ სიმაღლეზეო. პირ იქით, მან დაადასტურა რომ ჩვენს ორგანოებს პოლიტიკურ-პარტიული-ხაზი სწორათ ქონდა აღებული.

რაკი საერთო ხაზი სწორი იყო და ეს დაადასტურა საკანტროლო კომისიამ და შემდეგ კიდევ მთელმა ყრილობამ მოსალოდნელი იყო, რომ „ახალი სხივი“ აღარ დაიწყებდა წაგებულ საქმეზე კამათს, მარა ის თავისას არ იშლის და განაგრძობს „ძველებურათ, მისებურათ“.

„ახალ სხივს“ საანბანო ჭეშმარიტებათ მიაჩნია შემდეგი დებულება: „მთავრობას შეუძლია ზოგიერთ საკითხს საერო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი ერის, მთელი სახელმწიფოს თვალთახედვით მიუდგეს. პარტიის მოვალეობაა ყოველი მოვლენა თავის კლასის ინტერესებით განასჯვრიტოს და დააფასოს. ეს ჭეშმარიტება, საუბედუროთ, ბევრს ვერ შეუგნიაო“-ო (№ 10).

ანბანური ჭეშმარიტებაა ის, რომ პარტიამ ყოველივე „თავის კლასის ინტერესებით უნდა განსჭვრიტოს“ მარა ჭეშმარიტებაა ისიც, რომ მთავრობა ჩვენში ასრულებს ყოველივე იმას, რაც გაჭვრეტილია „თავის კლასის ინტერესებით“. თუ ეს ასე არაა, მაშინ „ახალმა სხივმა“ უნდა სთქვას—რა ჩაიდინა მთავრობამ თავის პოლიტიკურ მოღვა-

გენერალური შტაბის ცნობები

4 ივლისი.

ჩვენი ჯარი ბათომის ოლქის დასაკავებლად წინსვლას განაგრძობს. 3 ივლისს ღამით ჩვენი ჯარი უინცინდენტოთ გასცდა ჩაქვას და მივიდა ბათომის მიდამო—ბარცხანაში, სადაც იგი დაბანაკდა. რკინის გზა ბათომამდე ჩვენმა ჯარმა უკვე დაიჭირა. დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

5 ივლისი.

ბათომი. ივლ. 5. ინგლისის სარდლობა ოფიციალურად აცხადებს: ორშაბათიდან საბინაო სასამართლო თავის მოქმედებას სწყვეტს და მთელ საქმეებს ბათომის საოლქო სასამართლოს გადასცემს, იმავე დროს ინგლისის სამხედრო გუბერნატორი კაპ. გრუჯნი წინადადებას აძლევს ყველა იმ პირებს, ვისაც რაიმე პრეტენზიები აქვს ბრიტანეთის სარდლობასთან, აუწყონ მას ამის შესახებ კვარტირმეისტერის ბინაზე არა უგვიანეს 8 ივლისისა, რადგან მას შემდეგ პრეტენზიებს არ განიხილავენ. ფასი ბინებისა, რომელიც ბრიტანეთის სამხედრო პირებს უჭირავთ, გასტუმრებულია 15 ივლისამდე.

წყობაში ისეთი, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის და აქედან მშრომელი კლასის ინტერესებს.

„ახალმა სხივმა“ ალბათ არ იცის, რომ დგება ხოლმე ისეთი მომენტი, როცა პროლეტარიატის და აქედან მისი პარტიის ინტერესი არის იმავე დროს ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესი. დღეს ჩვენში სწორეთ ეს მომენტია, დღეს ყოველივე კეთდება მუშათა კლასის ინტერესების მიხედვით და ეს ინტერესები ეთანხმება ხალხის უმეტესობის ინტერესებს. ამიტომ არის რომ მას ეს უმეტესობა იზიარებს, ემხრობა და არ ებრძვის. ამას შეყავს „ახალი სხივი“ შეცდომაში, აი ეს ვერ შეუგნია მას და აქედან წარმოსდგება მთელი მისი შეცდომა და სიყალბე მისი პოზიციისა.

„ახალი სხივი“ იმავე ნომერში ასე მიმართავს ამხანაგებს: „ახალი სხივი“ ჩვენი პარტიის სიმტკიცის დამცველია. ის აკრიტიკებს ოპორტიუნიზმს და დგას ჭეშმარიტ კლასობრივ პოზიციაზე.

საინტერესოა გავიგოთ—ვის და რომელ ოპორტიუნიზმს აკრიტიკებს „ახალი სხივი“.

ველით ამის შესახებ მის გარკვეულ პასუხს.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

„ყვითელი“ ელემენტები ბეჭვდითი საქმის მუშათა კავშირში“. „პრავდაში“ (№ 73) მოთავსებულია ჩელიაბინსკიდან ჩამოტანილი შემდეგი წერილი მოსკოვის ბეჭვდითი საქმის მუშათა კავშირისადმი: „ჩვენ, ჩელიაბინის ბეჭვდითი საქმის მუშები, სრულის თანაგრძნობით მოგესალმებით თქვენ, რომლებიც ბრძოლას აწარმოებთ ყვითელ ელემენტების წინააღმდეგ. ჩვენ გვწამს, რომ მომავალი სრულიად რუსეთის ყრილობა ბეჭვდითი საქმის მუშებისა ბოლოს მოუღებს ჩვენს კავშირში არსებულ ყვითელ ნაწილს და ყველა მუშაკნი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთსულოვნათ გასწევენ საერთაშორისოპროლეტარულ რევოლიუციის გზით კომუნიზმისაკენ“. ხელს აწერს გამგეობა.

მოსკოვის ბეჭვდითი საქმის მუშებმა (კომუნისტურ ფრაქციამ) შემდეგი საპასუხო წერილი გაუგზავნეს ჩელიაბინელებს. „სალამს ვუძღვნით ქალ. ჩელიაბინის წითელ მუშებს და გამოვსთქვამთ რწმენას, რომ მათი იმედები გამართლდება; გვწამს, რომ სრულიად რუსეთის ბეჭვდითი საქმის მუშები ერთსულოვნათ დადგებიან მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, ჩვენ გვწამს, რომ კაპიტალის ყველა ყვითელი კუდები მალე აღიარებენ თავიანთ შეცდომებს და მონანიებას დაიწყებენ. პროვინციალურ მუშებმა აირჩიეს სწორი გზა პროლეტარიატის დიქტატურისა და მოსკოვის ბეჭვდითი საქმის მუშებიც მალე მიჰყვებიან მათ გზას“... ხელს აწერს კომუნისტურ ფრაქციის დავალებით ივ. ლომსკი“.

ეს ამბავი მოხდა აპრილში. ივნისის ნომრებში კი „პრავდა“ სწერს:

„ორი „ყვითელი კავშირი“ შეიქნა ბუდე მოსკოველ მენშევიკებ-ესერებისა. ეს არის ბეჭვდითი საქმის მუშებისა და მებულკეების. ბევრი ზომები იქნა მიღებული, რათა „მოექცვიანებიათ“ აღნიშნული კატეგორიების მუშები, მაგრამ უშედეგოთ. ამიტომ 20 ივნისს მოსკოვის საბჭომ დაადგინა გარეკოს ბეჭვდითი საქმის მუშათა მოსკოვის საგუბერნიო გამგეობა და მის ალაგზე დაინიშნა განსაკუთრებული საორგანიზაციო კომისია კომისიას ევალება აგიტაცია აწარმოოს მუშებში და აირჩიოს გამგეობა მას შემდეგ, როდესაც სათანადოთ „მომზადებული იქნება კავშირი“. ამის გამო გაფიცვა გამოაცხადეს მთელ რიგ სტამბებმა. მებულკეების კავშირიც დაშალეს თითქოს იმიტომ, რომ შეურთონ „პიშჩევიკების“ (სურსათ-სანოვაგეზე მომუშავეთა) კავშირს. მებულკეების კავშირის გამგეობის წევრთა უმრავლესობა პასუხისგებაში მისცეს.

როგორც სჩანს, ბეჭვდითი საქმის მუშათა კავშირის კომუნისტურ ფრაქციას იმედი არ გაუმართლდა და კომუნისტებიც იძულებულნი გახდენ მიემართათ „ნაცად“ ზომისათვის—იარაღით გარეკეს „ურჩი“ კავშირები. ვის წინააღმდეგაა აქ მიმართული „საბჭოთა დიქტატურა“ მუშების თუ „მედუქნეების“ წინააღმდეგ?...

მენშევიკ-ესერების წინააღმდეგ. „პრავდას“ ივნისის ნომერში მოთავსებულია ასეთი მოწოდებები მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ:

„მენშევიკებმა და ესერებმა აღთქმა დასდეს, რომ დაეხმარებიან მუშათა კლასს პანების პოლონეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ სადღა არიან მენშევიკებისა და ესერების მოხალისენი? რატომ არ წავიდენ მენშევიკები და ესერები ფრონტზე, როდესაც კომუნისტები ათასობით მიეშურებიან იქეთ? კომუნისტები იბრძვიან და იხოცებიან. მენშევიკები და ესერები სტყუიან და ლაყბობენ. პასუხი უნდა აგონ მენშევიკებმა და ესერებმა!“ (№ 117).

„როდესაც პოლონელ თეთრგვარდიელის ლახვარი ხვდება საბჭოთა რესპუბლიკის მკერდს,—ამ დროს მენშევიკებსა და ესერებს მუხანათურათ დეზორგანიზაცია შეაქვთ მუშათა წრეები. სამარცხვინო ბოძზე ყვითელი ბრბო მოღალატეებისა!“ (№ 118).

მოსკოვში დაწყებული ასეთი აგიტაცია პროვინციასაც მოედო. პროვინციიდან ცნობები მოსდის „პრავდას“, საიდანაც ირკვევა, რომ ადგილობრივათ ბევრ მენშევიკ—ესერების მოღვაწეებს აპატიმრებენ.

ეცლება ნიადაგი ფეხ-ქვეშ ბატონ კომუნისტებს მუშებში, ამის მიზეზათ კი მათ გამოჰყავთ მენშევიკები და ესერები—მათ უსისინებენ მუშებს, მაგრამ, კომუნისტებმა არ იციან, რომ არც ერთს მოწინააღმდეგეს არ შეეძლო მათთვის იმოდენი ზიანის მიყენება, რამდენიც მიაყენეს მათ თავიანთ თავს..

გადაუდებელი საქმე. „სპეკულიაცია და მექრთამეობა მიუხედავათ მათთან სასტიკი ბრძოლისა. თანდათან ძლიერდება. სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოროტებამ ნიადაგი მოიპოვა ჩვენ სამილიციო კომისარიატებში. მილიციონერები უკვე დიდი ხანია აღარ მორცხვობენ და თავისუფლად მისდევენ სპეკულიაციას და იღებენ ქრთამებს. ეს მეტადრე შესამჩნევია სავაჭრო ადგილებში, ბაზრებში, სადაც ამ სტრიქონების დამწერი თვით ადევნებდა ამას თვალყურს. საშინელი, უხეში მოქცევა მილიციონერებისა ძალაუნებურათ გაგონებს ძველებურ მოქცევას“. ა. კუზკი. („პრავდა“ № 72)

სპეკულიაცია. რა არის სპეკულიაცია? ეს არის გახრწნილ კაპიტალიზმის უკანასკნელი ფორმა, კერძო საკუთრების უკანასკნელი ნაშთი. ობიექტიურმა პირობებმა ისეთი ატმოსფერა შექმნა, რომ იმის გამო სპეკულიაცია საოცრათ გაიზარდა... სპეკულიანტი თავის თავს ღონივრათა ჰგრძნობს, წარმოადგენს რა ახალი ბურჟუაზიის წინა მორბედს. აქამდის სპეკულიაციის ხელთ იყო უზარმაზარი სამეურნეო ძალები აქამდის მოსკოვი, მაგალითად, ცხოვრობს არა იმდენათ სახელმწიფო ულუფით, რამდენათაც სუხარევკით—ამ სპეკულიაციის კლასიკური ბაზრით“. (სოლდატ რევოლიუციი“ № 493).

სპეკულიაცია, აი რა აკერია ყველას ენაზე დღეს საბჭოთა რუსეთში, ამ „სოციალისტურ რესპუბლიკაში“. ვერ უშველა სპეკულიაციის აღმოფხვრას „ჩრეზვიჩაიკამაც“ კი...

„წითელ“ ადერბეიჯანში

(გაზეთებიდან).

ჯერ შიმშილი, მუშებო! ბაქოს „კომუნისტის“ 19 ივნისის ნომერში მოთავსებულია წერილი „სამუშაო ქირის ტარიფების შესახებ“. „ჩვენ არა ერთხელ ვუსვამდით ხაზს იმ გარემოებას, რომ არავითარი გაუმჯობესება არ იქნება უბრძოლველათ და დიდ შრომის დაუხარჯავათ ცხოვრებაში გატარებული. მუშებმა ეს მუდამ უნდა იქონიონ მხედველობაში. თუ ეხლა სასურსათო ორგანოები ხშირათ არ იძლევიან პურსაც კი, არ შეიძლება მხოლოდ ხმაურობა, უკმაყოფილება, დიდი ჯამაგირების მოთხოვნა თავის თავისაგან, ისე როგორც მეპატრონეთაგან. საჭიროა თითონვე გააუმჯობესონ თავისი ორგანოების მუშაობა. რუსეთის მუშები ხომ იტანენ შიმშილს თითქმის სამი წელიწადია. ეხლა გაგზავნილია ყველგან აგენტები პურის სასყიდლათ, მიაწვდიან მუშებს და მოსამსახურეებს სურსათ-სანოვაგეს, ქარხნის კომიტეტების საშუალებით შემოღებული იქნება „შრომის ულუფა“—ესე იგი, მისცემენ მუშებისათვის საჭირო ნაწარმოებებს ისე, როგორც რუსეთში.

საჭიროა განსაზღვრული დრო, საჭიროა მუშაობა და მაშინ, როდესაც მოეწყობა შრომის ულუფის გაცემა, ტარიფები გატარებულ იქნება ცხოვრებაში სასურსათო ორგანოებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ძალ-ღონე საჭირო სურსათის შესაძენათ, და, რაც მთავარია, თავის მუშაობა უფრო სისტემატიურათ აწარმოვონ და არ სცვალონ ყოველ დღე თავისი განკარგულებები, რაზედაც უკვე ისმის საჩივრები. მაგრამ არც მუშებს შეშვენის ასეთი სიტყვები. „თუ არ მოგვცემთ პურს—შევაჩერებთ წარმოებას“. განა წარმოება თქვენი არ არის, ამხანაგებო? თქვენია და არა სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის. ასეთი ფსიხიკა, მუშების დამოკიდებულება ქარხნებთან, ფაბრიკებთან, მთავრობასთან, როგორც რაღაც უცხო, მტერთან, ფსიხიკა, გამომუშავებული მრავალ საუკუნოებრივ მონობის უღლის სიმძიმის ქვეშ, ყველაზედ უფრო მეტათ უშლის ხელს აღმაშენებლობას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გაძლიერებულ პროპაგანდით და მასებში კულტურული მუშაობით, და სამუშაო ქირისა და სურსათის მიწოდების შორის სასურველ ურთიერთობის დამყარებით, ჩვენ შევსძლებთ შევსცვალოთ ეს ფსიხიკა—„სულიერი განწყობილება“.

როგორც ხედავთ არ დარჩა საქმარისი მარტო დაპირება მუშებისათვის ყველაფერი მოგეცემათო, ყველაფერი თქვენიაო, დაპირება დაპირებათ დარჩეს, მაგრამ პური კი ნაღდათ მოგვეცესო,—აი მუშების პასუხი!..

„სუბბოტნიკი“ და ბაქოს მუშები. „მუშათა კლასი სიტყვებიდან საქმეზე გადავიდა. პირველი ნაბიჯი ჯერ გაუბედავია, გამოუცდელი. „სუბბოტნიკები“ ეხლა ცხოვრებაში ტარდება მხოლოდ მუშა კომუნისტების მიერ, უპარტიო იმათ უყურებს, ჰფიქრობს და ნელნელა, თუმცა არა ყოველგან, იმსჭვალება იმ დიად მედგარ კომუნისტურ სულით, რომელიც მუშებს სასწაულებს ამოქმედებინებს. ვინც ერთხელ იყო „სუბბოტნიკზე“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ათეული მუშები, ის თავის დღეში ვერ დააწევს თავს კომუნისტურ შრომის გამამხნევებელი გავლენას“.

70 ათას მუშაში მხოლოდ რამდენიმე ათეული მუშა მუშაობს ბოლშევიკების „სუბბოტნიკს“. და ასეა ყველგან რუსეთში. მუშაობენ მხოლოდ კომუნისტები—ფიქრობენ სხვა მუშები წაგვბაძავენო. მაგრამ დღეს უკვე დარწმუნდენ მუშები, რომ ბოლშევიკების მოღვაწეობაში წასაბაძი სრულიად არაფერი არ არის.

კომუნისტების მზადება. ყველაფრიდან სჩანს, რომ ბაქოს კომუნისტები არც იმდენათ სცემენ პატივს იმ ზავს, რომელიც დაიდო საბჭოთა რუსეთთან, ან ადერბეიჯანთან. ყოველი ნომერი მათი გაზეთებისა სავსეა საქართველოს საწინააღმდეგო წერილებით. საზოგადოებრივ აზრს ხომ ამზადებენ ბაქოში და საერთოდ რუსეთში იმისათვის, თითქოს საქართველო სიხარულით მოელოდეს საბჭოთა ჯარის შემოსვლას. მე-42 ნომერში მოთავსებულია რამდენიმე ცნობა. ერთ ცნობაში ნათქვამია რომ თფილისიდან 18—19 ივნისს ჩამოსულის სიტყვით ხალხის უკმაყოფილება მთავრობისადმი უმაღლეს წერტილამდე ავიდა. მოელიან მთავრობის ჩამოგდებას. ხალხი მოუთმენლათ მოელის საბჭოთა ჯარების მოსვლას. საქართველოს ჯარში საერთო უკმაყოფილებაა სახალხო გვარდიის მიმართ იმიტომ, რომ გვარდია განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებაო და სხვ. შემდეგ მოთხრობილია აჭარის, ოსეთის აჯანყების ამბები. ოსები გორს უახლოვდებიან და ამიტომ ადერბეიჯანის ფრონტიდან მოხსნეს ქართველებმა ჯარები და იქ წაიყვანესო. ამათ ნაცვლათ სწერს „კომუნისტი“ დააყენეს განსაკუთრებული რაზმი, რომელიც შესდგება ყოფილ ჟანდარმებისა, სამსახურიდან დათხოვნილ „ჩინოვნიკებისა“ და სხვადასხვა გვარი ნაძირალებისაგანო.

ასე ემზადებიან ბატონნი კომუნისტები საქართველოსკენ გამოსალაშქრებლათ. უნერგავენ წითელ არმიელებს თავში იმ აზრს, რომ „კონტრ-რევოლიუციონური გიდრა“ საქართველოშია და უნდა გავჰქლიტოთო...

კომუნისტების „პარტიული ცხოვრება“. ბაქოს „კომუნისტი“ (№ 24) შემდეგს სწერს: 14 ივნისს ბაილოვო-ბიბი-ეიბათის რაიონის კომუნისტურ პარტიის წევრთა კრება მოხდა. მოსმენილ იქნა მოხსენება სამხედრო განყოფილების შესახებ, რის შემდეგაც შემდეგი დადგენილებები იქნა გამოტანილი: 1) პარტიულ მუშაობის გასაცხოველებლათ და ამხანაგების კულტურულათ ასამაღლებლათ მოკლე დროში დაარსებული იქნეს წერა-კითხვის სკოლები; 2) რადგანაც მუშათა წრეებში დაეცა დისციპლინა, ურომლისოდაც შეუძლებელია გამარჯვება ძველ წეს-წყობილებასთან ბრძოლაში, შემოღებულ იქნეს ფოლადისებური დისციპლინა, რათა ცენტრისა და აგრეთვე სხვა პარტიულ ორგანიზაციების დადგენილებები დაუყოვნებლივ და უსიტყვოთ ტარდებოდეს ცხოვრებაში; ვინც არ დაემორჩილება, განდევნილი იქნება ორგანიზაციებიდან, როგორც მოღალატე და დეზორგანიზატორი; 3) რადგანაც საჭიროა თვითეულ წევრმა იცოდეს იარაღის ხმარება,—მოეწყოს განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმში პარტიის წევრთათვის სამხედრო მეცადინეობა და სხვა“.

გვახსოვდეს კომუნისტების ბრძოლის იარაღი!..

„მუშების სულგრძელობა“. სადგურ განჯის მუშა-მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს გადასდონ ყოველ დღიურათ მეოთხედი გირვანქა პური მუსულმან მშრომელთა სასარგებლოდ, რომლებიც დაზარალდენ ბეგებისა და ხანების ავანტიურის წყალობით“. („კომ.“ № 42).

ჯერ ათასობით საწყალი ხალხის ამოწყვეტა, შემდეგ აუარებელი სურსათ-სანოვაგის მოსკოვს გაგზავნა საჩუქრად, ახლა მეოთხედი გირვანქა პურის გადადება მშრომელი მუსულმანობისათვის!.. ამას უწოდებენ ბოლშევიკები „მუშების სულგრძელობას“. ნამდვილათ კი, ეს არის ბოლშევიკური ცინიზმი, ხალხის სამასხაროთ აღება...

„ბურჟუაზიის რეგისტრაცია“. ბაქოს „ისპოლ-კომმა“ გამოაქვეყნა განსაკუთრებული ბრძანება, რომელშიაც შემდეგია ნათქვამი: მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება იყო, რათა ბალახანა-საბუნჩის რაიონის ყველა ბიუროკრატები, მემამულეები, კაპიტალისტები, სახლის მეპატრონეები, მოიჯარადრენი და სხვები გამოცხადებულიყვენ რეგისტრაციაზე,—ისინი 15 ივნისს არ გამოცხადდენ „ისპოლ-კომში“. ამიტომ „ისპოლკომი“ მოუწოდებს აღნიშნულ რაიონის „მუშათა და გლეხთა“ მილიციას და ყველა კომისრებს მიიღონ ზომები იმ პირთა აღმოსაჩენად, რომლებიც ცდილობენ გაექცენ რეგისტრაციას“.

ამას წინად ერთ ერთი კომუნისტური გაზეთი სწერდა ბაქოში 70 ათასი მუქთა ხორა ბურჟუა არისო. ახლა, როგორც ხედავთ, მათ აღმოსაჩენად ზომებს ღებულობენ. ალბათ, ბევრი მუქთახორა-ბურჟუა ჩაეწერა კომუნისტების პარტიაში ან შევიდა საბჭოთა სამსახურში!..

ბოსტნეულობის დამზადება. ბაქოს „კომუნისტში“ (№ 42) შემდეგი განცხადებაა მოთავსებული: „მწვანილეულობისა და ხილის განყოფილება ადერბ. ს. საბ. რესპ. „ნარკომპაროდისა“ მოუწოდებს ყველას, ვისაც კი შეუძლია „ზაგოტოსელისთვის“ დაამზადოს მწვანილი, ხილი და თუთის თაფლი (ბეხმეზი), განაცხადონ ამის შესახებ სიტყვიერათ ან წერილობით. შეჯიბრება მოხდება ხუთშაბათს 24 ივნისს. ვისაც შეჯიბრებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა,—მან 23 ივნისს უნდა წარმოადგინოს 100,000 მან. კვიტანცია, რომელიც მან უნდა შეიტანოს „ნარკომპროდში“ „ზაგოტოსელის“ დეპოზიტის ანგარიშზე.

მეორე განცხადება ასეთია: „ვიწვევთ მოიჯარადრეებს „სოვნარხოზის“ ტყავის ქარხნის შესაკეთებლათ. მთხოვნელებმა უნდა მიმართონ „სოვნარხოზის“ სატყაო განყოფილებას“.

„ჯერ ბრძოლა პოდრიაჩიკებთან“, შემდეგ მათი მოწვევა,—ანუ როგორც რუსები იტყვიან, ჯერ ჭაში ჩაფურთხება შემდეგ იქიდან სასმელი წყლის ამოღება,—ასეთია კომუნისტური ლოღიკა...

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

5 ივლისი.

ფრანგული ცნობები.

საზღვაო ვაჭრობისათვის.

განსაკუთრებული ინტერესის ღირსია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მიღებული ტეხნიკური ხასიათის ზოგიერთი რეზოლიუციები საზღვაო დამოკიდებულების შესახებ. კონგრესი მოითხოვს, რომ მუდმივმა კომისიამ თავი მოუყაროს ყველა ცნობას, რომელიც ყველა ნავთსადგურებზე სამსახურს შეეხება. (გამოტოვებული და დამახინჯებულია) საზღვაო ვაჭრობა, რომელიც ევროპის ომმა დაანგრია, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა იქნეს აღდგენილი. ამ მიზნით იგი ადმინისტრატიულ საბჭოს მოუწოდებს, მუდამ კონტაქტში იყოს საერთაშორისო საზღვაო კომისიასთან, რომლის სხდომები იქნება ანტვერპენში. კონგრესი გამოთქვამს სურვილს, რომ საერთაშორისო საპასპორტო სისტემა გამარტივებულ იქნეს ყველა ქვეყნებში, რომლებიც სავაჭრო პალატაში მონაწილეობენ და რომ პასპორტები სულ უკანასკნელი 1 წლის ვადით იქნეს მიცემული.

ოსმალეთში.

„ტანის“ ცნობით ოსმალთა რწმუნებულების ნოტა, რომელიც დამადფერიდეს მიერ გადმოცემულისაგან განირჩევა, უმთავრესად ეხება ლემნოსის, ინბროსის და ტენედოსის კუნძულების საკითხს. ოსმალეთს ეშინია, რომ საბერძნეთმა ეს კუნძულები სხვას არ გადასცეს.

მოკავშირეთა თათბირი.

ბრიუსელიდან იუწყებიან, პარასკევს დილით მოკავშირეთა წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ. პირველად შეეხენ გერმანიის განიარაღებას. ექსპერტების მოსმენის შემდეგ წამოყენებული იყო მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც აბრუნებს გერმანიას ვერსალის ხელშეკრულების მიერ განსაზღვრულ მდგომარეობისაკენ. შეეხენ აგრეთვე ფინანსიურ და კერძოთ გერმანიის კონტრიბუციის განაწილების საკითხს. დღიური სხდომის დასრულების შემდეგ, პარასკევს, შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოუშვეს: რადგანაც საბჭოთა თავმჯდომარეების შორის მოლაპარაკება გაჭიანურდა, პარასკევს დილით კონფერენციის სხდომა არ ყოფილა და სხდომა შაბათ დილით შესდგებაო.

პოლონეთის მთავარი შტაბის ცნობა.

ვარშავა. პოლესიეში, პრიპიატის ჩრდილოეთით ბოლშევიკები, რომლებიც პოლონეთის კონტრ-იერიშებით დამარცხდნენ, მოზირის მიდამოებში აღარ გვიტევენ. პოლესიეს სამხრეთით გენ. ბალახოვიცის მოხალისეთა რაზმის შეტევის დროს ბოლშევიკების დიდი ნაწილი პოლონელების მხარეზე გადმოვიდა. კოროსტენის მიმართულებით უკრაინის ნაწილები პოლკ. ბესტეცკოს სარდლობით უტევენ ბოლშევიკურ რაზმებს, რომელნიც მათ დაამარცხეს. უკრაინელებმა ხელთ იგდეს 2 ზარბაზანი. მტრის იერიში... (?) მიმართულებით მოვიგერიეთ. მტერი ძლიერ დაზარალდა.

ნახშირის მიწოდება.

ბრიუსელიდან მოსული ცნობით ექსპერტების მოხსენებებმა გვიჩვენეს, რომ გერმანიამ დააგვიანა 3 მილიონი ტონი ნახშირის მოწოდება, რომელიც მას მაისის დამლევამდე უნდა გადაეცა. დელეგატების აზრით გერმანიის მიერ წამოყენებულ მიზეზებს არა აქვს არავითარი საფუძველი.

კონტრიბუციის განაწილების გარშემო.

გერმანიის კონტრიბუციის განაწილებას აძნელებს იტალიის მიერ მთელი ჯამიდან 20 პროცენტის მოთხოვნა. საფრანგეთის წრეებში იმედი აქვთ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატები შესძლებენ გადაარწმუნონ იტალიის და ბელგიის დელეგატები. გრაფ სფორცამ განაცხადა, რომ შეთანხმება ძნელია, მაგრამ არც შეუძლებელიაო.

ბერძენთა ჯარის გამარჯვება მცირე აზიაში.

პრესა ბეჭდავს მცირე აზიაში ბერძნების გამარჯვების შესახებ. ელინთა ჯარი, სწერს, „პტი ჟურნალი“, ბანდერმიდან 100 კილომეტრის მოშორებით იმყოფებაო“. „აქსიონ-ფრანსეზ“ ბალიკესერის აღებაში უცქერის ჩრდილოეთში თვალსაჩინო გამარჯვებას.

ზარალის ანაზღაურება.

საფრანგეთის გაზეთების ცნობით გერმანიის ზარალის ანაზღაურების განაწილების შესახებ შემდეგნაირათ შეთანხმდენ დელეგატები: საფრანგეთი მიიღებს 52 პროც., დიდი ბრიტანეთი 22 პროც., იტალია 10 პროც., ბელგია 8 პროც., სერბია 5 პროც., დანარჩენი 3% რჩება რუმინიას, პორტუგალიასა და იაპონიას. იტალია მიიღებს ფინანსიურ და ეკონომიურ ხასიათის კომპენსაციებს.

ამერიკის დამოუკიდებლობის დღე.

მთელ საფრანგეთში ამერიკის დამოუკიდებლობის დღემ ჩინებულად ჩაიარა.

თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ დამფ. კრების წევრის ა. ი. ჩხენკელის სახელზე მიღებულ თანხით შეიძინა საჩუქრები ბათომის მიმართულებით მყოფ ჯარისთვის. 3 ივლისს მთავარმა კომიტეტმა გაუგზავნა საჩუქრები ზაქათალის ოლქში მყოფ დივიზიონს. საჩუქრებს გზავნის თფილისის პროლეტარიატი, სავაჭრო-სამრეწველო პალატა დ ფრონტის დამხმარე კომიტეტი. შორაპნის ერობის დახმარებით ფრონტის საჭიროებისათვის შეგროვდა 100,000 მანეთი, რაც მთავარ კომიტეტს გადაეცა. მთავარი კომიტეტი ამ ჟამად დასახიჩრებულ ჯარისკაცების დახმარების საქმით არის დაინტერესებული. ამ საკითხის დასამუშავებლად იწვევენ კომიტეტის პრეზიდიუმის თათბირს ექსპერტების თანდასწრებით.

საქართველოს ფირმები ადერბეიჯანში. ქართულმა ბანკებმა და სავაჭრო ფირმებმა, რომელთაც განყოფილებანი ქონდათ ადერბეიჯანში, მიმართეს თხოვნით სავაჭრო-სამრეწველო პალატას, რათა ის დაეხმაროს შუამდგომლობაში, რომელიც მათ აღძრეს ფინანსთა მინისტრის წინაშე ადერბეიჯანში მათი ინტერესების დაცვის შესახებ. სავაჭრო-სამრეწველო ფირმების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ადერბეიჯანში საბჭოთა მთავრობის დამყარების შემდეგ ჩვენ განყოფილებებს მოელის ან დაუყონებლივი დახურვა, ან და ნაციონალიზაციაო.

საფრანგეთის უმაღლეს კომისრის გრაფ დე-მარტელის აზრი საქართველოზე ბათომის გადმოცემის შესახებ. საქ. დემ. სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ბათომის გადმოცემის შესახებ დე-მარტელმა განაცხადა: ბათომის ოლქის, ბათომის და მისი ნავთსადგურის საქართველოსადმი გადმოცემის საკითხში საფრანგეთის მთავრობის მხრივ ყოველთვის პოულობდა თანაგრძნობასო. დამოუკიდებელ ჯარის შექმნა.—ეს ხელოვნური იქნებოდა, აშკარაა, რომ ბათომმა ზღვისაკენ გზა გაუხსნა სომხეთსა და ადერბეიჯანს, ამ ორ დამოუკიდებელ რესპუბლიკას, რომელთ სამართლიანად უნდა მიიღონ თავისუფალი ტრანზიტისა და ბათომის ნავთსადგურით თავისუფალი სარგებლობის უფლება. ამასთანავე მე ვიცი, რომ საქართვ. მთავრობამ მიიღო სათანადო ზომები ქართველ მაჰმადიანთა ეკონომიურ-სარწმუნოებრივ და სოციალისტურ ინტერესების დასაცავად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბათომში საქართველოს მმართველობის დამყარება არავითარ დაბრკოლებას არ შეხვდება და წესრიგი გაუჭირვებლად დამყარდება ბათომის მთელ ოლქში.

გაზეთის დახურვა ბათომში. 2 ივლისს ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით დაიხურა თურქული გაზეთი „სედაი მილეთი“. მთავრობამ დაატუსაღა სტამბის პატრონი ბ. შმაევსკი, რომელმაც მთავრობის ნება დაურთველათ დაბეჭდა აღნიშნული გაზეთი თავის სტამბაში. ბ. შმაევსკის გაასამართლებენ ორშაბათს, 5 ივლისს.

ქობულეთის მცხოვრებნი 2 ივლისს რკინის გზის სადგურზე პურ-მარილით მიესალმენ ქართველ ჯარს. პურ-მარილი მიართვა ქობულეთის უხუცესმა გულუ ალა კაიკაციშვილმა მეტად მგრძნობიერე სიტყვით, რომელმაც სიხარულით აღნიშნა საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენა. პურ-მარილი მადლობით ჩამოართვა პოლკ. გეგელაშვილმა. ხალხმა უსურვა გამარჯვება გაერთიანებულ საქართველოს ბელადს ნ. ჟორდანიას. აგრეთვე მიესალმენ საგარეო საქმეთა მინისტრ ევ. გეგეჭკორს, რომელმაც თავისი მიზანშეწონილი პოლიტიკით დასძლია მრავალი დაბრკოლებანი და უსისხლოდ შეუერთა ქ. ბათომი და მისი ოლქი საქართველოს. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე მემედ ალა გოგიბერიძემ და ახალგაზდების სახელით ბათომის ქართული გიმნაზიის მოწაფე ცივაძემ.

ახალი გაზეთი ბათომში. 4 ივლისს, ბათომში გამოვიდა ყოველდღიური რუსული გაზეთი „ბატუმსკაია ჟიზნ“-ი.

ბათომი. ივლ. 5. (საქ. კორ.) ცნობა მოვიდა, რომ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ომი გამოუცხადოს ოსმალეთს, რომელმაც საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადაო.

საგარეო საქმეთა მინისტრთან. შაბათს, 3 ივლისს, საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი ინახულა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ ბათომის გადმომცემ საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა სტოქსმა.

იტალიის მისიის ცნობა.

ლონდონი. ივლ. 4. ერთა ლიგის საბჭო მოწვეული იქნება სან-სებასტიანში და იმუშავებს ერთი კვირის განმავლობაში.

რომი. ივლ. 4. დეპუტატთა პალატაში მთავრობის დეკლარაციის განხილვა დასრულდება ოთხშაბათს ან ხუთშაბათს ორშაბათს შეიკრიბება მინისტრთა საბჭო.

ვენა. ივლ. 3. ხვალ შეიკრიბება პარტიათა ლიდერების კომისია ახალ სამინისტროს შესადგენათ.

ბათომი. 5/7. ყირიმის სარდლობისაგან მოსული ოფიციალური ცნობით 26 ივნისს გენ. სლაშჩევის ჯარმა დაიჭირა პავლოვკა, ბურიევკა, პოლოგი და ბერდიანსკის რკინის გზის დასავლეთით მდებარე სოფ. ელანოვკა. მტერი საჩქაროთ უკან იხევს.

ბათომი. 5 ივლ. ყირიმის ცნობა 26 ივნისს ბრძოლის შემდეგ გენ. კუტ-პოვის ნაწილებმა ვასილიევკა აიღეს. 5 დღის განმავლობაში ჯარმა 240 ვერსტი გაიარა. მელიტოპოლთან ალექსანდროვის რკ. გზა გადაჭრილია. ამ ხაზზე გადაჭრილი აქვს გზა იმ წითლების რაზმს, რომელიც გენ. სლაშჩევის ნაწილთან იბრძოდა.

ვაშინგტონი. ჩიკაგოში რესპუბლიკანურ კონგრესის სხდომაზე სასტიკი კრიტიკა გაუკეთა ვილსონის პოლიტიკას სენატორმა ლოჯმა, სენატმა, სთქვა ორატორმა—დაიწყო საზავო ხელშეკრულების შესწავლა, მან ყურადღება მიაქცია მას, რომ ამ ხელშეკრულების არსებითი ნაწილი მიმართული იყო არა სამშვიდობო, არამედ—სამხედრო ლიგის დაარსებისაკენ. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მე-10 მუხლმა, დებულებამ ერთა ლიგის შესახებ, ჩვენ შორის არიან ადამიანები, რომლებიც მტკიცეთ არიან დარწმუნებული, რომ მსოფლიოს არ სჭირდება ერთა ლიგა. უმეტესობა ფიქრობს, რომ ხალხთა ლიგის წესდებაში შეტანილი ზოგიერთი შენიშვნები უზრუნველყოფდა ამერიკას; იმ უბედურებისაგან, რომელსაც შეიცავს დებულება ხალხთა ლიგის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევალთ ამ ლიგაში. ჩვენ მტკიცეთ გადავწყვიტეთ არ მივცეთ ხმა ლიგას იმ სახით, რომელიც ეს ვილსონმა კონგრესს წარუდგინა.

ჩვენ შესაძლებელი გავხადეთ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია ჩვენის შესწორებით, მაგრამ ვილსონმა და მისმა თანამშრომლებმა არ ისარგებლეს ამითი. ეხლა, დეე, ხალხმა გადასწყვიტოს. ჩვენ გვესმის მშიშარა ხმები, რომ ამერიკას გაიცალკევებენო. ამას შიში არ შეიძლება, რადგან ქვეყნიერებას ჩვენ ძლიერ ვესაჭიროებით. ჩვენ არასოდეს არ მოვიყრუებთ, როდესაც კაცობრიობის ტანჯვას გავიგონებთ, მაგრამ ის, რასაც ვაკეთებთ, ჩვენ გვინდა გავაკეთოთ თავისუფლად, და არა გარედან რაიმე ძალდატანებით.

ლონდონი. „მატენი“ იუწყება: კრასინთან მოლაპარაკების შეწყვეტამდე ლოიდ ჯორჯსა და ინგლისის კაბინეტის მრავალ წევრს საიდუმლო თათბირი ჰქონდათ მასთან. თათბირი გაგრძელდა 5 საათზე მეტს და მოცული იყო ღრმა საიდუმლოებით. მიუხედავათ იმისა, რომ დაეფარათ საზოგადოებისაგან ეს ცნობა, მაინც გამოირკვა, რომ ლოიდ ჯორჯმა მოსთხოვა ბოლშევიკების წარმომადგენელს სრული გარანტია იმ პუნქტების ასრულებისა, რომელიც პირველ შეხვედრისას იყო აღნიშნული და მათ შორის იმ პუნქტებისა, სადაც ნათქვამია შესწყვიტონ ბოლშევიკური პროპაგანდა აღმოსავლეთში და განსაკუთრებით კი სპარსეთში. კრასინმა არ მისცა მას დამაკმაყოფილებელი პასუხი და მოითხოვა დრო მოლაპარაკებოდა მოსკოვს. ლოიდ ჯორჯი იძულებული იყო გაეცხადებია, რომ ინგლისი კატეგორიულად უარს აცხადებს დაიწყოს რუსეთთან ოფიციალური სავაჭრო დამოკიდებულება, თუ საბჭოთა რუსეთი არ მისცემს აუცილებელ გარანტიას, რომელსაც მისგან მოითხოვენ. ამ მოლაპარაკების შედეგი ასეთია. კომერციული მოლაპარაკება რუსეთსა და ინგლისს შორის დროებით შეწყვეტილია

ლონდონი. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ განიხილა რა მოსკოვის მთავრობის ოფიციალური ნოტა, გამოაცხა და თავის თავი დაუკმაყოფილებლად იმ ნაწილში, რომელიც გარანტიებს ეხება. რუსეთი წარმოადგენს ფედერატიულ რესპუბლიკას. ამიტომ საქონლის გამგზავნელს, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოში გზავნის საქონელს, არა აქვს საკმარისი გარანტია იმისა, რომ ამ საქონელს არ დააკავებენ ამა თუ იმ ქვეყანაში, რომელშიც ეს საქონელი ტრანზიტით გაივლის. დაბოლოს, ღიათ რჩება საკითხი იმის შესახებ, აღიარებენ თუ არა კრასინის მისიასა და მის რწმუნებულებს მოსკოვის მთავრობის გარდა რესპუბლიკის ყველა მთავრობები, რომლებიც მოსკოვთან ფედერატიულ კავშირში იმყოფებიან. დაბოლოს უმაღლესმა საბჭომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კრასინს მთავრობისაგან არა ქვს ოფიციალური საბუთი და ქაღალდები თავის რწმუნებულობის შესახებ, რომ მისი რწმუნებულება მიცემულია მხოლოდ რადიო-დეპეშით რაც, რასაკვირველია, საკმარისი არ არის.

ლონდონი. 6 ივნისს თეირანიდან ინგლისის სარდლობისაგან რადიოთი ცნობა მოვიდა, რომ ინგლისელებმა რეშტის ევაკუაცია მოახდინეს, რადგან არ ქონდათ რწმუნებულება და ამიტომ არ ჩასთვალეს შესაძლებლად ებრძოლათ ბოლშევიკებთან, რომელთაც ქალაქი დაიჭირეს. ენზელში თავს იყრის ბოლშევიკური ძალების დიდი ნაწილი.

პარიზი. გუსტავ ერვე გაზეთ „გამარჯვება“-ში სწერს: უნდა გვახსოვდეს, რომ ბოლშევიზმის ბურუსი გაიფანტება რუსეთში და მაშინ ჩვენ საქმე გვექნება პატრიოტულ რუსეთთანო. როგორც ეტყობა, ლოიდ ჯორჯს სურს, რომ ამ პატრიოტულმა რუსეთმა გერმანიასთან კავშირში ბოლშევიკების მაგიერათ გადაგვიხადოსო.

ლონდონი. 4 ივლისი. თემთა პალატისა და ლორდთა პალატის 25 წევრმა. რომელნიც ყველა პარტიებს წარმოადგენენ, ინახულეს ლოიდ ჯორჯი იმ მიზნით, რომ იგი ჩაერიოს სერბიის ჯარების მიერ ჩერნოგორიის დატოვების საქმეში.

პარიზი. (გაგრძელება). დეე, ლოიდ ჯორჯმა თვით აგოს პასუხი იმაზე, რომ იგი ეალერსება კრასინს და დაფნის გვირგვინებს უწნავს ლენინსა და ტროცკისო.

ვაშინგტონი. ინგლისსა და რუსეთს შორის სავაჭრო დამოკიდებულების საკითხით ძლიერ დაინტერესებულნი არიან ამერიკის სავაჭრო წრეები. პოლიტიკურ წრეებში კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან იმისი, რომ ბალშევიკებთან დაიწყონ დამოკიდებულება, რადგან ეს ახალს ძალას მისცემს ბალშევიკებს შიგნით და გარეთ კი პროპაგანდას გააძლიერებს. სავაჭრო წრეებში იმ აზრის არიან, რომ მახლობელ თვეებში გამოწურონ რუსეთიდან ყოველივე, რაც კი შესაძლებელია და ამგვარათ ზამთარში ნედლი მასალით უზრუნველყონ ევროპა.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. საცენტრალო კომისიის მორიგი სხდომა.

✦ **დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია საქართველოს პროფესიონალური კავშირების აღმასრულებელი საბჭოს კრება.**

✦ **თფილისის ქალაქის თვითმართველობის** სასურსათო განყოფილების გამგე პანიევმა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენლის შეკითხვაზე, თუ, რით შეიძლება აიხსნას ბაზარზე სანოვაგეზე ფასების აწევა, განაცხადა: ფასების აწევას უსათუოდ აქვს დროებითი ხასიათი და გამოწვეულია ინგლისელების ბათომიდან წასასვლელად მომზადების გამო და ყველა იმ ხმებით, რომელსაც ავრცელებდენ, როგორც ბათომში, აგრეთვე თფილისში. ზოგმა კომერსანტმა დაიწყო თავის საქონლის გაზიდვა და ამის შედეგი არის ის, რომ გაძვირდა ვალიუტა და მასთან საქონელიც, მაგრამ როცა კი გაიგეს, რომ ბათომის ოლქი საქართველოს გადმოეცემა და ზომებია მიღებული წესრიგის დასაცავათ, პანიკა შეწყდა და ეხლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფასებს თანდათან დაწევა ემჩნევა. ბათომის საქართველოზე გადაცემის შემდეგ საქართველოს სავაჭრო ოპერაციები, უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს და საქონლის ფასი მეტად დაიწევს. ამის დამამტკიცებელია გაძლიერებული წინადადებანი უცხო საქონლის მოტანის შესახებ, რომელიც მრავლად შემოდის ჩვენ განყოფილებაში. ზოგი წინადადება მივიღეთ და პირობა შევკარით, ზოგიერთ ხელშეკრულებით უკვე დავიწყეთ ზოგი საქონლის მიღება. ეს საშუალებას გვაძლევს იმედიანათ ვუცქიროთ მომავალს და გვწამდეს ბაზარზე ნორმალური ფასების აღდგენა.

✦ **გლაუბერის მარილი.** თფილისში დაბრუნდა ინჟინერი ყიფშიძის მეთაურობით წასული სამთამადნო სამმართველოს კომისია, რომელმაც კვლევა-ძიება მოახდინა სოფ. მუხროვანში, უჯარმაში, საცხენისში, მარტყოფში, ახალსოფელში და ნორიოში. კომისიამ დაათვალიერა გლაუბერის ქარხანა. კომისიამ აღნიშნა გლაუბერის მარილის დამუშავების ცუდი მდგომარეობა. ამ ჟამად სამრეწველოში არის 40,000 ფუთი წინეთ დამზადებული გლაუბერის მარილი. იმავე კომისიამ დაათვალიერა ნავთიანი ადგილები. ნავთის ნიშნები სჩანს თიხის ნიადაგში რამდენიმე ვერსტის სიგრძეზე მდ. იორსა და სოფელ ნორიოს შორის. წინეთ მუხროვანთან ნავთს იღებდნენ ღრმა ჭებიდან. კომისიის აზრით ამგვარათვე შეიძლება ახლაც ნავთის ამოღება და ამიტომ მიზნათ აქვთ მუხროვანში ამოთხარონ სასინჯი ჭა. სამთამადნო სამმართველო ფიქრობს ჯერ-ჯერობით გამოიკვლიოს კახეთის ზოგი ნავთიანი რაიონი და შემდეგ შეუდგეს ნავთის დამუშავებას.

✦ **შავი ქვის გატანა.** ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზ-ბის საერთო კრებაზე გადასწყვიტეს, რომ საზღვარ გარეთ გაგზავნონ „ჩემო-ს" წარმომადგენლები იქ წარმომადგენლობის მოსაწყობათ წარმომადგენლობის მიზანია: 1) საზღვარ გარეთის შავი ქვის ბაზრის გამოკვლევა და მოსპობა იმ დაბრკოლებათა, რომელიც ხელს უშლის ჭიათურის შავი-ქვის საზღვარ გარეთის ბაზარზე არსებობას. 2) საჭიროებისამებრ საზღვარ გარეთ კანტორების და „ჩემოს" სააგენტოების მოწყობა. 3) საზღვარ გარეთის იმპორტიორებთან დამოკიდებულების დაჭერა ფრახტების გამომუშავებისა და გემების დაზღვევის მიზნით და 4) გამორკვევა და დასახვა მარგანეცის გამყიდველთა საქვეყნო სინდიკატის დაარსებისა. ამისათვის უნდა მოელაპარაკოს ინდოეთისა და სხვა შავი ქვის სამრეწველო ფირმებს. მოხსენება ამ საკითხის შესახებ უნდა წარმოედგინოს „ჩემოს" საბჭოს. ამ საკითხთა გამოსამუშავებლათ კომისიას უფლება აქვს თავის შემადგენლობაში მოიწვიოს მცოდნე პირები, უცხო ფირმათა წარმომადგენლები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ჭიათურის შავი ქვის გაყიდვასთან. კომისიის თავმჯდომარეთ აირჩიეს ამ ჟამათ საზღვარ-გარეთ მყოფი ნ. ი. ნიკოლაძე. წევრებათ: ა. ა. ჯაყელი, პ. ი. ოგანეზოვი, ვ. დრენანი, გ. ე. ჯავახიშვილი და ბ. ა. პაპავა.

✦ **საექიმო დახმარება.** სავათმყოფო კასის პრეზიდიუმმა ფაბრიკა-ქარხნების ექიმებთან მომხდარ თათბირზე დაადგინა, რომ იმ ავათმყოფებს, რომლებიც სპეციალურ ექიმობას საჭიროებენ, სულ უკანასკნელი—ერთი თვის თავისუფლება მაინც მიეცეს.

✦ **მოსავლის აკრეფა.** მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გიაურ-არხის სახელმწიფო მამულში პურის მოსავლის ასაკრეფად სპეციალური ინსტრუქტორები გაგზავნა. იმ პირთა მამულებიდან, რომლებიც ადერბეიჯანის ომის დროს მტრის ბანაკში გადავიდენ, პური სახელმწიფოს სასარგებლოდ იქნება შეკრებილი.

✦ **კანონ-პროექტი ღვინის შესახებ.** მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობის საბჭომ პროფ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით შეადგინა კომისია ღვინის შესახებ კანონ-პროექტის შესამუშავებლად. ამ კანონპროექტმა, სხვათა შორის, ფალსიფიკაციასთან ბრძოლა უნდა გაითვალისწინოს.

✦ **ახალციხიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: დღეს წმ. გიორგის ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი გენერალ ბალო მაყაშვილის სულის მოსახსენებლად, რომელიც გმირულად და მოწამებრივად შეეწირა სამშობლოს სამსხვერპლოს. პანაშვიდს დაესწრნენ დამფუძნებელი კრების წევრი თ. კიკვაძე, გენერალი ვაშაკიძე, სამხედრო პირნი და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები და მრავალი მოქალაქენი. ბრწყინვალე ხსოვნა გენერალი მაყაშვილისა დაუვიწყარი იქნება მესხთა გულში და მომავალი თაობა მაყაშვილის გმირობას ხალხურ სიმღერაში გამოხატავს.

✦ **შ. მაღლაკელიძისა და სხვათა საქმე.** გუშინ, 5 ივლისს თფილისის ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით უნდა დაწყებულიყო საქმე გენერალ-გუბერნატორად ნამყოფ შალვა მაღლაკელიძისა, საგუბერ. ბატ. კომანდირის ჩაჩიბაიასი და სხვათა. რადგანაც ნაფიც მსაჯულთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა, სასამართლომ ამ საქმის გარჩევა დღეისათვის გადასდო.

✦ **მუშათა ცენტრალური კლუბი.** ოთხშაბათს, 7 ივლისს, გაიმართება ჩვეულებრივი სამხიარულო საღამო წევრთათვის უფასოთ. წარმოდგენილი იქნება „იასონის ოინები", „მანტაჟი" და „სოფლის ფერშალი". მზადდება წარმოსადგენათ ტრ. რამიშვილის პიესა „ბედის-წერა".

✦ **გორის ფონდი.** მარო ბეჟიაშვილის და თამარა ივანიძის მიერ გამართულ წარმოდგენიდან რედაქციამ მიიღო 43 მან.

✦ **დაიკარგა** საფულე კვირას, 4 ივლისს, დღის 9 ს. ტრამვაიზე № 2, ზემელის აფთიაქიდან სახელმწიფო თეატრამდე. რომელშიაც არის 300 მან-დე ფული და სხვადასხვა დოკუმენტები. მნახველ ვსთხოვ მოიტანოს (ან გამოგზავნოს) მხოლოდ დოკუმენტები, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს. მისამართი: „ერთობის" რედაქცია—მ. ჩაჩუას.

✦ **სეზონის გახსნა ბახმაროში.** ამხანაგობა „ჯანმრთელობის" გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ აგარაკ ბახმაროში სეზონი უკვე გაიხსნა.

✦ **დრამატიულ საზოგადოების დასის** რეჟისორთა კოლეგია იწვევს ამავე საზოგადოების დასში თანამშრომლებად სამსახურის მოსურნე პირთ—ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით მომუშავე სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დრამატიული წრის წევრებსა და აგრეთვე სხვებსაც,—პარასკევს 9 ივლისისათვის, დღის 12 საათზე ახალი კლუბის დარბაზში. სამსახური ჯამაგირიანია. წინასწარი პირობების გაგება შეიძლება დრამატიულ საზოგადოების კანტორაში (დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5).

✦ **სამელიორაციო კრედიტი.** მიწათმოქმედების მინისტრის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც უწყებათა წარმომადგენლები დაესწრნენ, იხილავდნენ საკითხს სამელიორაციო კრედიტის შესახებ. მომხსენებელმა ინჟ. ა. ესენმა აღნიშნა, რომ სამელიორაციო კრედიტთან შეკავშირებულია მხარის ნაყოფიერების აწევა და კეთილდღეობაო. მელიორაციაზე მუშაობა მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას და დიდი ფონდის შექმნასო. ეს ფონდი შეიძლება შეიქმნას, სახელმწიფო ფონდის მიწების გაყიდვისაგან, რომელიც 150 მილ. მანეთს მოგვცემსო. ფონდის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ ერობებმაც შეიტანონ თავის ბიუჯეტში საჭირო კრედიტი მელიორაციის შესახებ. საკითხის განხილვის დროს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ა. ქორქოლიანმა აღნიშნა, რომ საჭირო თანხის თხოვა საჭირო იქნება მარტოთ-მარტო გადაუდებელ სამუშაოსათვის იმ პირობით, რომ მორწყულ მიწებზე დათესილი იქნეს მხოლოდ ხორბლეულობა. კამათის შემდეგ დაადგინეს: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მიწების მელიორაცია გაადიდებს მხარის ნაყოფიერებას და რომ ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ფონდის საშუალებით, საბჭო ადგენს: 1) პრინციპიალურათ სასურველად იქნეს ცნობილი 150 მილიონიან ფონდის შექმნა, 2) შედგენილ იქნას კომისია და 3) მიენდოს ამ კომისიას განხილვა დებულების პროექტისა, რომელიც მან საბჭოს განსახილველად უნდა წარმოუდგინოს.

კრებები

6 ივლისს, საღ. 4 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია სოციალურ დამხმარე საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

ქუთაისი

პარკის სეზონი უკვე დაიწყო. დასავლეთ საქართველოში სხვა უმთავრეს სამეურნეო დარგებთან ერთად ამ საქმის მოწესრიგებაც თავს იდვა მთავრობამ და მომარაგების სამინისტროს ხელმძღვანელობით აწყობს მას მთელ საქართველოში. ხოლო ხსენებული სამინისტრო ადგილობრივ თვითმართველობათა, კოოპერატივების და საკრედიტო დაწესებულებების საშუალებით აგვარებს მას საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში. პრაქტიკული ხელმძღვანელობა ამ საქმისა მინდობილი აქვს მთავრობის მთავარ რწმუნებულს—მეაბრეშუმეობის უფროს სპეციალისტს ბ. იოსებ ქუთათელაძეს. მან ქუთაისში უკვე მოაწყო პარკის ყიდვის საქმე ერობის ხელმძღვანელობით, დაიქირავა ძველი მხვილი ვაჭრების პ. და მ. გოკიელოვების საუკეთესოთ მოწყობილი დიდი ფარდული ხონის გზაზე, ქალაქის განაპირას და იქ უყრის თავს ქუთაისში შემოზიდულ პარკს. პარკს ყიდულობს ერობა წყალ-გამდა ყაფანზე 2500—3000 მანეთათ ფუთს სამ ხარისხათ დანაწილებულს. ბაზარზე ყიდვის უფლება სხვას არავის აქვს. პარკის ყიდვაში ძველებური შექიშპება ვაჭართა კომისიონერებისა, აღარ არის, მოისპო, და ერობის წარმომადგენელნი მეაბრეშუმეობის ბიუროსთან ერთად სრულიად გულდამშვიდებით, წყნარათ და უდავიდარაბოთ ყიდულობენ სოფლელებისაგან პარკს და თან უხსნიან მათ დანიშნულებას და მნიშვნელობას ამ ახალნაირ ვაჭრობისას ხალხის და სახელმწიფოსათვის.

საქმე ამ თავათ კარგათ სწარმოებს და ხალხიც ეჩვევა ამ საეკონომიო საქმის ახალნაირათ წარმოებას.,

— **სვირის მილიციის უფროსმა** შეიპყრო შარშან ფილიმონ ხიდაშელის გამძარცველები დავ. ჩხიკვაძე და ვ. კობრეიძე. დანარჩენების შესაპყრობათ ზომებია მიღებული. ჩხიკვაძე და კობრეიძე გადაგზავნილ იქნენ საგუბერნიო ციხეში.

— მანვე შეიპყრო ორი ღვინის ვაჭარი ჯღამაძე სიმონ ნიკ. და ტაბიძე სტეფ. ალექს., რომელთაც აღმოაჩნდათ 90,000 მანეთი ყალბი ფული 1000 მანეთიანები. დაჭერილები და ფული წარედგინა ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსს.

— 26 ივნისს ქუთაისის ქალთა ორგანიზაციამ გაგზავნა დიდძალი საჩუქრები მამისონის ფრონტზე მყოფ გვარდიელებისა და ჯარისკაცებისთვის.

ბათომი

ბათომიდან თითქმის ყოველ დღე მიემგზავრებიან ყირიმისაკენ გამოქცეული დენიკინელები. მიდიან ბევრი ისეთებიც, რომლებიც დღემდე მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებში მსახურებდენ. ბათომის საქართველოზე გადაცემამ აქ ბლომათ დაგროვილი ნიკოლოზის დროინდელი ჩინოვნიკობა საგონებელში ჩააგდო და მომავალს უიმედოთ უყურებენ.

— როგორც ვიცით, ბათომში სავალდებულო მისაღებათ ინგლისის მთავრობამ ამიერ-კავკასიის ბონები გამოაცხადა. ამ გარემოებით ისარგებლეს სპეკულიანტებმა და ქართულ ფულზე თითქმის არაფერს ყიდდენ და თუ ყიდდენ, 20—20 პროცენტით ძვირათ. ბათომის საქართველოზე გადაცემის ამბავმა კი ეს განსხვავება ქართულ და ამიერ-კავკასიის ბონებს შორის თითქმის გააქრო.

—ოლქის იმ რაიონებში, სადაც ქართველი ჯარები ჯერ კიდევ არ შესულა, მცხოვრებლები მოუთმენლად მოელიან მათ მოსვლას. („სამ. საქ.").

ოსების განცხადება საქართველოს მთავრობისადმი

გორის მაზრის, ხაშურის რაიონის და ცხემის საზოგადოების ოსებმა მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი განუცხადეს: ჩვენ, ზემოაღნიშნული რაიონების მცხოვრებნი ვაცხადებთ, რომ არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს და არც გვქონია მთის ოსეთის აჯაყებასთან, პირიქით, გადაჭრით ვკიცხავდით მათ და ამ აჯანყებას დამღუპველად ვსთვლიდით ოსებისათვის. ჩვენ, ოსები, იმდენათ გავითქვიფეთ ქართველი ხალხის მასსასთან, რომ ჩვენსა და ქართველებს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მათი გამოსვლის დროს ჩვენც გამოგვიგზავნეს აგიტატორები, რომლებიც ასაჯანყებლათ მოგვიწოდებდენ, მაგრამ მაშინ ჩვენი რაიონის ოსები არ გაყვენენ ბნელ ელემენტებს. და თუმცა ბანდებმა თავისი მოქმედება ჩვენ რაიონში გადმოიტანეს, მაგრამ მშვიდობიანმა ოსმა მოსახლეობამ არა თუ მიიღო ამაში მონაწილეობა, არამედ—დაზარალდა მათგან და ეხლა სასურსათო კრიზისს განიცდის. ვაცნობთ რა ამის შესახებ მთავრობას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შეძლებას მოგვცემენ განვაგრძოთ მშვიდობიანი მუშაობა და ჩვენ ჩვენის მხრით გეფიცებით პატიოსნებასა და სინიდისს, რომ მთავრობის ყველა მოთხოვნილებას სასწორით ავასრულებთ. (სდს).

ნეკროლოგი.

ამხ. ი. ჩიხლაძე, ი. ლოთიშვილი და ლ. ნონიკაშვილი.

ს. თხინალაში ამა წლის 10 მაისს მუხანათურად მოჰკლეს სამი საუკეთესო გვარდიელები, ატენის ხეობიდან, ყაჩაღთა ბრბოებმა.

მდგომარეობის გართულებით ისარგებლეს რა ყაჩაღებმა ტიგიშვილ-ქარქიშვილის მეთაურობით მედგრად შემოუტიეს სოფლებს და დაიწყეს მათი აწიოკება. ატენის გვარდია დაირაზმა მათ სადევნელათ, რომელთაც სათავეში ჩაუდგა ძველი გვარდიელი ამხ. ილ. ჩიხლაძე.

ილა უბრალო გლეხის შვილი იყო, სწავლა-განათლებით მოიკოჭლებდა, მაგრამ თავისუფლების დაცვის შეგნებით რევოლიუციონურ პოსტების გამაგრების მცნებათა ცოდნით, მას ბევრი ვერ შეედრებოდა. გვარდიის დაარსებისთანავე ატენის ხეობაში ის, მისი თვალსაჩინო წევრად ითვლებოდა და ყოველთვის ერთ მოწინავე ელემენტად, საყვარელ ამხანაგათ ითვლებოდა ჩვენს წრეში. ილა, ჭკუიანი, პატიოსანი მოღვაწე, პირში მთქმელი, მოვალეობის მცოდნე—აი მისი დადებითი თვისებები! აწყური, შულავერი, ცხინვალი, ახალციხე, გაგრა—აი ფარგლები მისი მოღვაწეობისა, სადაც არა ერთხელ გამარჯვებული, შინ მხიარულის სახით ბრუნდებოდა. ადერბეიჯანის „კომუნისტებმა" შემოგვიტიეს, მდგომარეობა რთულდებოდა, ილა -სი გვარდიელით მზათ იყო ფრონტისკენ წასასვლელათ, ის გვემუდარებოდა გაგვეშვა იქით, საიდანაც მეტი საშიშროება მოგველოდა.

მას წადილი ვერ აუსრულეთ, მდგომარეობამ მისი ადგილობრივ დატოვება მოითხოვა

რამოდენიმე დღეში ხუთი ყაჩაღი სიცოცხლეს გამოასალმა, გააფთრებული ლომივით ებრძოდა მათ, მოსვენებას არ აძლევდა ავაზაკებს და ისიც იყო ფიქრობდა ძირ-ბუდიანათ აღმოფხვრას მათი ბუდისა, რომ თხინალის მცხოვრებლებმა ყალბი ცნობის მიცემით, ყოველივე ჩაფუშეს და შუა გზაზე დაეცა სამშობლოს კეთილდღეობის სამსხვერპლოზე.

ლავრენტიც, ილაც მუდამ მომღიმარი სახით შინ მიდიოდნენ ხოლმე ბრძოლაში, გმირებივით—უშიშრად, მაგრამ...

ჩვენ ვიცით, რომ ეს ძვირფასი მსხვერპლები დიდი დანაკლისია ჩვენი საერთო ოჯახის, აუნაზღაურებელი, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ ყველას არ შეხვდება ასეთი ბედნიერება გმირული სიკვდილი მოვალეობის ასრულების დროს...

ატენის გვარდიელები შურს იძიებენ, დახოცილების სისხლს არავის შეარჩენენ და დაუმტკიცებენ ერთხელ კიდევ ყველას, რომ სიკვდილი მათ არ აშინებთ თავისუფლების სამსხვერპლოზე.

მშვიდობით, ძვირფასებო, სასიქადულო ამხანაგებო. ვწუხვარ, რომ ასე ადრე მოგაშორეს თქვენს საყვარელ საქმეებს, თქვენი სახელი უკვდავი იქნება.

თქვენი **ლიგა.**

მდგომარეობა უკრაინაში

(ხარკოვიდან ჩამოსულის ნაამბობი).

ხარკოვიდან წამოვედი 18 ივნისს. მატარებლები დღე გამოშვებით დადიან და არა სამგზავრო, არამედ—საქონლის ვაგონები. ხალხი აუარება აწყდება მატარებელს, ვაგონში პირდაპირ საშინელებაა; ჩემს თვალწინ 5 სადგურის მანძილის გავლაში ორი ბავშვი გაიჭყლიტა. მე ველარ ვძლებდი ამ პირობებში და ვაპირებდი უკან დაბრუნებას, მაგრამ მერე მოვეწყე იმ ვაგონში, რომლითაც კომუნისტები მოდიოდნენ და მოვედი როსტოვამდის. იქ მომიხდა წამოსვლის ნებართვის ხელ-ახალი შემოწმება. როსტოვიდან მგზავრობა შედარებით ადვილია.

მთელს უკრაინაში გლეხების აჯანყებებია, რომლის ჩასაქრობათ ჰგზავნიან ჯარებს და ანადგურებენ მთელს სოფელს, მაგ. სოფ. კავირგაში აჯანყებულებმა ჯერ დაამარცხეს მათ წინააღმდეგ გაგზავნილი რაზმი, მაგრამ მერე გაგზავნილმა დიდმა ჯარმა გადასწვა სოფელი და მრავალი გლეხი დახვრიტა. რეპრესიები გლეხების წინააღმდეგ დიდია. გლეხები უკმაყოფილონი არიან, ყველაფერს ართმევენ, პურს და საერთოდ წლის სარჩოს საგანგებო რაზმების საშუალებით. მით უმეტეს ძლიერია ეს უკმაყოფილება ეხლა—წვიმები არ იყო, პურის მოსავალი ერთავად დაიღუპა. დაიღუპა გვალვის გამო მოსავალი ველიკოროსსიაშიც. ხალხს მხოლოდ კართოფილის მოსავლის იმედი ღა აქვს. ხალხი დიდათ დააზარალა სხვადასხვა ეპიდემიურმა ავათმყოფობებმა—სახადმა და სხვა, მედიკამენტების უქონლობის გამო გარდაცვლილთა რიცხვი დიდი ყო. ხალხი სოფელში დიდათ შემცირდა. ამას დაემატა მობილიზაცია. უკვე გაწვეულნი არიან ჯარში—18-დან 30 წლამდის და ახლა აპირებდნენ მობილიზაციას 43 წლამდის. უნდა ითქვას, რომ ეს მობილიზაცია სოფლათ ვერ ტარდება კარგათ—არიან აუარება დეზერტირები. გლეხებში უკმაყოფილება დიდია და თუ ვინმე ბალშევიკების მოწინააღმდეგე ძალა გამოჩნდა, იმას ადვილათ მიეკედლებიან. ადგილი აქვს აუარება აქტიურ გამოსვლებს.

არც თუ ქალაქშია უკეთესი მდგომარეობა. ფაბრიკები და ქარხნები არ მუშაობენ; გამოცხადებულია მათი ნაციონალიზაცია, მაგრამ ამის შემდეგ აღარაფერი არის გაკეთებული. მუშები დაიქსაქსნენ სოფლებში; ამის მიზეზია ქალაქში უპურობა. ამის გამო წარმოების საქმე ყოველგან ცუდათ მიდის; ყოველ სადგურზედ მოწოდებებია გამოკრული, სადაც აღნიშნულია რა ის გარემოება, რომ დეპოებში ასწრობენ დაზიანებულ ორთქლმავალების მხოლოდ 2% შეკეთებას, თხოვნაა შეაკეთონ 15% მაინც. იმისთანა დიდ ქარხანამ, როგორც არის ქარხანა „ორთქლმავალის მაშენებელი", პირველ მაისამდის კომუნისტებს მხოლოდ 1 ორთქლმავალი ჩააბარა. 8 საათის სამუშაო დღე აღარ არსებობს. მუშაობენ ზოგჯერ 18 საათს; ვინც არ იმუშავებს—ის კონტრ-რევოლიუციონერათ ითვლება. შრომის ნაყოფიერება მეტათ დაცემულია. ამის მიზეზი, სხვათა შორის, მუშების ჯამაგირების სიმცირეც არის; საშუალო ჯამაგირი მუშებისა—4000 მანეთი; თითეულ მათგანს ეძლევა ერთი გირვანქა პური, მიუხედავათ იმისა, ჰყავს მას თუ არა ოჯახი. ოჯახს. არაფერი ეძლევა. ფასები კი შემდეგია: შავი პური—გირვანქა 300 მან., ხორცი —500 მან. გირ., შაქარი ფხვნილი—1100 მან. გირ., ღორის ქონი—1700—1800 მან., სპიჩკა კოლოფი 120 მან., ნავთი—500 მან. გირვანქა, ნედლი შეშა —300 მან. ფუთი, ღორის ხორცი—900 მანეთი, სტაქანი რძე—80—85 მან. მანუფაქტურა არ არის, თავისუფალი ვაჭრობა მოსპობილია, აკმაყოფილებენ მხოლოდ მოსამსახურეებს. ამ პირობებში მუშები ბევრს ვერც იმუშავებენ. თუ წინათ მაგ. „პოროვოზო-სტროიტელნი ქარხანაში" — მუშაობდა 10,000 მუშა, ეხლა 1000 მუშაოა. „Всеобщая Комп. электрич." წინათ რამდენიმე ათასი მუშა იყო, ეხლა არც ერთი, გარდა კანტორის მოსამსახურეების. მუშების მეტი ნაწილი წავიდა სოფელში. მუშები მძიმე მდგომარეობაში არიან, ემჩნევა სიძულვილი საბჭოთა მთავრობის მიმართ.

ადგილობრივ ინტელიგენცია არა სჩანს, იგი იძულებულია სიმშილით რომ არ მოჰკვდეს, იმუშაოს ბალშევიკებთან. მუშებს არაფერს ჰკითხავენ, ყველაფერი „უმაღლეს" წრეებში კეთდება; ამიტომ დაიბადა უკმაყოფილება მუშათა მასების კომუნისტებისადმი. უკმაყოფილების წინააღმდეგ სასტიკ ზომებს იღებენ; „ჩრეზვიჩაიკები" გაშმაგებით მუშაობენ.

მენშევიკების პარტია ლეგალურათ არ მუშაობს, იმათ გაზეთის გამოცემის ნებართვას არ აძლევენ. მენშევიკების პარტიული მუშაობა არალეგალურათ სწარმოებს; ასევეა ყველა სხვა პარტიებიც. საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრება ჩაკვდა—ხარკოვში მხოლოდ კომუნისტური გაზეთიღა გამოდის. გაზეთების ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია; გაზეთები იკვრება ქუჩებში კედლებზე, მსურველმა უნდა წაიკითხოს ან იქ, ან სამკითხველოში. უნივერსიტეტები დახურულია, პროფესორები დაიფანტნენ, საშუალო სასწავლებლებში სწავლა არ არის.

საინტერესოა, თუ როგორ ცდილობენ კომუნისტები დაცემული გავლენის აღდგენას. ამ ერთი თვის წინათ ჩამოვიდა ტროცკი და მუშების კრებაზედ სთქვა: ხარკოვში ყოფნის დროს მე მგონია, რომ პარიზში ვარ, მშვენივრათ ჩაცმული ხალხი დადის ქუჩებში, რაღაც უყურებთო". ამ სიტყვების შემდეგ ქალაქის განაპირა უბნებში დაიწყო „მოქმედება"—მოქალაქეების დარბევა და სხვა, თუმც მიღებული ზომებით ამას მალე მოეღო ბოლო. შემდეგ დაიწყეს მოქმედება „ღარიბების კვირის" მოსაწყობათ; დაბეჭდეს ყველა სარდაფები, „სარაები" და ერთ ღამეს მთელ ქალაქში მოახდინეს ჩხრეკა. ყველა მოქალაქეებს ართმევდნენ ტანისამოსს, რასაკვირველია, ამათ რიცხვში კომუნისტები არ შედიოდენ. მოქალაქეებს უტოვებდენ სამ-ხელ საცვლებს და ორხელ ტანისამოსს. სჩხრეკდნენ „სარაებს", სთხრიდნენ სარდაფებში მიწას—თუ კი რამეს აღმოაჩენდნენ, ყველაფერი მიჰქონდათ. ამით გათავდა „ღარიბების კვირა". შემდეგ საერთოდ „ფრონტის კვირის" გამართვა უნდოდათ, სურსათსანოვაგეს წაღება.

ფრონტებზედ მდგომარეობა ასეთია: პოლონელები გამოსცდნენ კიევს 60 ვერსით. მაგრამ საბჭოთა მთავრობამ გადაიყვანა პოლონეთის ფრონტზედ საუკეთესო ჯარები და პოლონელები ჯერ-ჯერობით დაამარცხეს, კიევიც უკან დაიბრუნეს, ჯარი მეტად ცუდათ არის ჩაცმული, ვერც სანოვაგის მიწოდების საქმეა ჯეროვან სიმაღლეზედ დაყენებული. შეიარაღება კი კარგია. მახნო მელიტოპოლის ახლოს მოქმედებს. ბალშევიკები სწერდნენ,—მოვკალითო, მაგრამ ეს შემდეგ ტყუილი გამოდგა.

ქართველების მდგომარეობა მეტათ ცუდია—მათ ყველაფერს ართმევენ და საცხოვრებლათ უხდებათ უსაჭიროესი ნივთების ბაზარში გასაყიდათ გამოტანა. თუ ასე გაგრძელდა, მაშინ მოუხდებათ საბჭოთა მთავრობის სამსახურში შესვლა. ქართველებს სურთ წამოსვლა, მაგრამ მათ არ უშვებენ. როცა ქართველები ეუბნებიან—ჩვენ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომნი ვართო, მათ უპასუხებენ: საქართველო უკრაინას არა სცნობს და არც ჩვენა ვსცნობთ საქართველოსო. რაკოვსკიმ გამოგზავნა რადიო-ტელეგრამა საქართველოს მთავრობასთან—ადგილი დანიშნეთ საზავო მოლაპარაკებისათვისაო უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს შორისო, დღემდის როგორც კომუნისტები აცხადებენ, მათ არ მიუღიათ ამ მიმართვის პასუხი...

წერილი რედ. მიმართ

ვიღაცები ავრცელებენ ჭორებს ვითომ ჩემის თავმჯდომარეობით შემდგარიყოს სამხედრო-საველე სასამართლო ლაგოდეხში და მთელი რიგი სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოეტანოს.

რასაკვირველია ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა და არსად, არასოდეს მე სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარე არ ვყოფილვარ.

საკვირველია, როგორ შეთხზავენ ასეთს ჭორებს?!!

დამფ. კრების წევრი **გრ. ურატაძე.**

უცხოეთი

სომხეთი.

ზანგიბასარის ამბები. ამ სათაურით გამოქვეყნებულ მთავრობის ცნობაში, აღნიშნულია ჯერ ის მტრული პოზიცია, რომელიც დაიჭირეს თავიდანვე ადერბეიჯანის აგენტების გავლენით ზანგიბასარის მუსულმანებმა სომხეთის რესპუბლიკის მიმართ. მთავრობა იღებდა ყოველ ზომებს, რომ ეს საკითხი მშვიდობიანათ მოგვარებულიყო, მაგრამ ზანგიბასარელების გამოსვლები რესპუბლიკის საზიანოთ კვლავ მეორდებოდნენ; ისინი აწყობდნენ მებრძოლ რაზმებს ოსმალო-ადერბეიჯანელ აფიცრების ხელმძღვანელობით. გამოსცადა რა ყველა საშუალება, სომხეთის მთავრობამ 18 ივნისს წარუდგინა ზანგიბასარელებს ულტიმატუმი 6 საათის განმავლობაში იცნონ სომხეთის მთავრობა, აიყარონ იარაღი, გადასცენ მთავრობას სამხედრო მასალა, მისცენ მთავრობას თავისი ბელადები—ოსმალეთის აფიცრები და მძევლები.

პასუხი მიღებული არ იყო და 9 ივ. მთავრობის ჯარებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედებები წინააღმდეგ აჯანყებულ ზანგიბასარელებისა, რომლებმაც ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. ზანგიბასარელებს ჰქონდათ კარგათ გამაგრებული პოზიციები, ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები და დიდი სამხედრო მასალა. ისინი იბრძოდნენ ოსმალო ოფიცრების ხელმძღვანელობით. მაგრამ, იმათ ვერ აიტანეს მედგარი წინსვლა ჩვენი ჯარებისა და გაიქცნენ. 20 ივნისს სომხეთის ჯარებმა დაიჭირეს მთელი ზანგიბასარი და ხელთ იგდეს 2 ზარბაზანი, 3 ტყვიისმფრქვეველი, 4000 ცალი ტყვია და ბევრი თოფები. ზანგიბასარლები გაიქცნენ არალიხისაკენ.

შეთანხმება სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის. საქართველოში არსებულ სომხეთის დიპლომატიური მისიის ინფორმაციული ბიუროს ცნობით საქართველოში მყოფი სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ტ. ა. ბეჟბადიანი და ადერბეიჯანის გარეშე საქმეთა კომისარი—გუსეინოვი შეთანხმდენ ყაზახში სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენციის მოწვევის საკითხში. კონფერენციის მოწვევის დღეს და მის შემადგენლობას ახლო მომავალში განსაზღვრავს ორივე დაინტერესებული მთავრობა. ამას გარდა შეთანხმდნენ სომხეთში დაპატიმრებულ ბალშევიკების ადერბეიჯანში დაჭერილ დაშნაკელებზედ გაცვლის საკითხში. ამ შეთანხმებების შესახებ გადაწყვეტილია ტელეგრაფით ეცნობოს ორივე მხარის მიერ თავ-თავის მთავრობას თხოვნით, დაუყონებლივ შესწყდეს დაპატიმრება და რეპრესიები სომხეთში—ბალშევიკების წინააღმდეგ და ადერბეიჯანში—დაშნაკელების წინააღმდეგ.

წერილები ფრონტიდან

გაგრა. არა სასურველ სურათს წარმოადგენდა ორი თვის წინ გაგრის ფრონტი: მთელი ჯარისკაცები რაღაც ჯადოსნური გავლენით გაიძახოდენ ერთსა და იმავეს: მოვლენ ბალშევიკები და ხალხის ტანჯვასაც ბოლო მოეღებაო. ყველას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ბალშევიკებს თოფს არ ვესვრითო. არ უწევდა ანგარიშს არავინ ჩვენი თითქმის უვარგის გემების სისუსტეს, სურსათის მოუტანლობას, უტანისამოსობას, უპურობას. ყველა ამას მოელოდენ ბალშევიკებიდან და რა თქმა უნდა, მათ მოსვლას სიხარულით ელოდებოდენ. აღსრულდა ნატვრა: მოვიდენ ბალშევიკები მაგრამ ნახეთ ჯარისკაცების განცვიფრება: ჩვენი ჯარი მათზე უფრო ჩაცმული, მაძღარი, კარგათ შეიარაღებული და გაწვრთნილი აღმოჩნდა. თუ წინეთ ამბობდენ, რომ ბალშევიკები არიან სურვილით გამსული მეომრები და ჩვენ კი ძალით გამოწვეულიო,—აღმოჩ და, რომ ძალით გამოწვეულნი ყოფილან ისინი და მოხალისეები კი ჩვენ. ყველა ამას ზედ დაერთო ერთი საუცხოვო გარემოება: ბალშევიკების მოსვლისას ჩვენი ჯარიდან გაიპარა თითქმის ოცამდე ჯარისკაცი და გამოეცხადა ადლერში მყოფ „რევკომს". არ გასულა ერთი კვირა, რომ ჩვენ პოსტებზე მობრუნდენ ჩვენი გაქცეული ჯარისკაცები და ჩოქვითა და ცრემლით იხვეწებოდენ: გილალატეთ, სირცხვილი გვჭამეთ, ღირსი ვართ ყველაფრისა, რაც გინდათ ის გვიყავით, მხოლოთ ბალშევიკებისაკენ ნუ გაგვაგზავნითო. ჩასვლისთანავე ადლერში მათთვის გეხადათ ტანისამოსი აეყარათ იარაღი და მკვდარ ცხენების სათრევათ გაეგზავნათ. თან თურმე აგინებდენ, ბურჟუების დამცველები ხართ და თქვენ ვინ გენდობათ, თითო სამი წყვილი საცვალი გქონიათო. Разнесемъ всѣхъ „грузо", на закуску не хватитъ",—ჩასძახოდენ „ჩეკას" („чрезвычайка") წევრები. რის ვაი-ვაგლახით მოვახერხეთ გამოპარვა და ეხლა რაც გინდათ გვიყავით, მხოლოდ „იქით" ნუ გაგვგზავნითო. დაბრუნდა თითქმის უმეტესობა გაქცეულებისა და ყველა ისინი დღეს გუნდებში მოუთხრობენ თავიანთ ამხანაგებს თავის თავგადასავალს ბალშევიკთა სამეფოში. თითქმის ერთ კვირაში გამოეცვალათ ჯარისკაცებს შეხედულება ბალშევიკებზე. გუშინ თუ ქებით იხსენიებდენ, დღეს წყევლა-კრულვას უგზავნიან და გაიძახიან: ჯერ ჩვენ ყველა დავიხოცებით გაგრაში და მათ შემდეგ შემოუშვებთ საქართველოშიო.

ამ ხანებში გამოსწორდა ტრანსპორტის საქმეც. მოვიდა ტანისამოსი, ახალი ფეხსაცმელები, თეთრი პური, მოვიდა ცნობა ადერბეიჯანის დამარცხებისა და ყველა ამან ისეთი გავლენა იქონია ჯარზე, რომ ვინც კი შეხედავს დღეს ამათ, აუცილებლათ იტყვის: ბედნიერია ის სამშობლო, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავსო. მართლაც ბედნიერია ის ქვეყანა, რომელსაც ჰყავს ასეთი ჯარი, და ამ ჯარს ისეთი სარდალი, როგორიც არის გენ. არ—ძე. ეს საყვარელი მოხუცი თავის ტკბილი ენით დაუღალავი მუშაობით ნამდვილ მამობრივ სიყვარულს უნერგავს გულში ჯარისკაცებს.

ეჭვი არაა, რომ სხვა ფრონტზე მყოფი ჯარებიც ისეთივე მხნე და საიმედონი იქნებიან,როგორიც არის გაგრის ფრონტზე მყოფი პირველი ბრიგადა.

P. S. სასურველია, რომ ყველა ორგანიზაციებმა მიაქციონ ყურადღება, რომ რაც შეიძლება მეტი ჟურნალ-გაზეთები იგზავნებოდეს გაგრაში, რადგანაც ყველაზე უფრო აქ არიან მოკლებული ყოველგვარ ცნობებს ცენტრიდან. **ხ.**

ფრონტისთვის

ქ. სოხუმის ყველა პროფესიონალური კავშირთა საერთო ყრილობის დადგენილებით 6 ივნისს ქ. სოხუმში ცენტრალური საბჭოს მიერ ფრონტის დღე იქნა გამართული; საბჭო ენერგიულად შეუდგა მუშაობას, მან მთელი საუკეთესო ძალები მოიწვია დამხმარედ; ამოირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც დაავალა მთელ ქალაქში მოეხდინა ფულის და სალატარეიო ნივთების მოგროვება. საბჭომ მიმართა ყველა მუშა-მოსამსახურეს ამ დღისთვის გადაედვათ ერთი დღის ჯამაგირი, აგრეთვე მიმართა სასადილოს მოვაჭრეებს, თეატრს, ცირკს, კინემატოგრაფებს და სხვა ასეთებს 30 პროცენტი საერთო შემოსავლისა გადაედვათ ფრონტისთვის. საბჭოს ყოველ დღე მოსდიოდა აუარებელი პატარა ჩანთები მოწაფეებიდან, სადაც ეწყო თუთუნი, საპონი, სპიჩკა, თხილი და სხვა ასეთები. 5 ივნისიდან სტუდენტთა წრე შეუდგა ქალაქის ბალის შემკობას. ბალი ჩინებულად იყო მოწყობილი. ზოგიერთმა ნაციონალურმა ბალში მოაწყვეს თავიანთი ნაციონალური კიოსკი, უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა შიგ ბალში მოწყობილი ლატარია, სადაც გამოფენილი იყო ძვირფასი ნივთები.

დიდი მადლობის ღირსია—ექსპორტის ამხანაგობა, რომელმაც შემოსწირა 100.000 მ. აგრეთვე ქალაქის თვითმართველობამ შემოსწირა 28,000 მ. საერთო შემოსავალი არის 300,000 მ., ნახევარი ამ თანხისა საბჭომ გადადვა გაგრის ფრონტზე მყოფ ჯარისთვის და ნა-

ხევარი გაეგზავნება თფილისში ფრონტის კომისიას.

საჩუქრები, რომელიც მოგროვდა მოწაფეებისაგან და სხვა პირებიდან, საბჭო ამ დღეებში თავისი წარმომადგენლის ხელით გაგრაში გაგზავნის.

დიომიდე კოკაია.

ს. სეფიეთში ონტოფოს უმ. დაწყ. სასწავლებელმა გამართა ფრონტის დღე სიტყვა-წარმოდგენით. ხარჯების გარეშე შემოსავალი დარჩა 1000 მან.*) რასაც გიგზავნით დანიშნულებისამებრ გადასაცემად. ამასთანავე მადლობა ადგილობრივი სკოლის მასწავლებლებს და ადმინისტრაციას მოწყობა-დახმარებისთვის.

ს. ონტოფოს უმ. დაწყ. სასწავლებლის გამგე **ფ. ანჯაფარიძე.**

რკინის გზელთა პროფეს. კავშირების კონფერენცია

(გაგრძელება)

ცენტრალურ კულტურა-განათლების კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს კომისიის თავმჯდომარე ვ. ცენტერაძე: კავშირების უმთავრესი მიზანია წევრების კულტურულად ამაღლება და მათი კლასობრივათ გათვითცნობიერება. თუმცა თანამედროვე მდგომარეობა საამისო მუშაობაში დაბრკოლებებს იძლევა, მაგრამ კულტურულ მუშაობის გვერდის ავლა მაინც შეუძლებელია. ამას ყურადღებას აქცევდა რკინის გზის ძველი კომიტეტები და საჭიროდ სცნობდენ პროფესიონალურ გაზეთის გამოცემას, რომელიც ახლაც არსებობს ქართულ-რუსულ ენაზე. ჩვენი მიზანი იყო ეს გაზეთები ყოფილიყვნენ ნამდვილი პროფესიონალური ორგანოები კავშირებისა და მთავარი ყურადღება კომიისა მიპყრობილი იყო აქეთკენ. შეიძლება გაზეთის შინაარსი მოისუსტებდეს, მაგრამ მთავარი მიზეზი ამისა უმთავრესად ის არის, რომ ჩვენში ნაკლებათ მოიპოვება პროფესიონალური მოძრაობის მცოდნე პირები, მოიპოვებიან ზოგიერთი რუსი ამხანაგები, რომლის წერილებს ჩვენ კიდევაც ვთარგმნით და ვათავსებთ გაზეთში. ჩვენი გაზეთი „რკინის გზელი", თანდათან უმჯობესდება და, თუ ქაღალდი შევიძინეთ და გადიდებული ფორმატის ჟურნალი გამოვეცით, როგორც უკანასკნელი ორი ნომერია, ცხადია, შევძლებთ მკითხველების დაკმაყოფილებას. უკმაყოფილებაა ზოგიერთ ამხანაგებში, რომ ყველა რკინის გზელი ვერ ღებულობს გაზეთს, მაგრამ ამის მიზეზი არის ის, რომ ქაღალდს ვერ ვშოულობთ საკმაოს, რომ გავადიდოთ ტირაჟი. რკინის გზაზე ითვლება 18,000 მუშა-მოსამსახურე, გაზეთს კი ვბეჭდავთ ამ ჟამად 13,800 ცალს.

იანვარში იბეჭდებოდა 12,800, ეხლა გავადიდეთ 1000 ცალით. თვითეული რკინის გზელის დაკმაყოფილება გამოიწვევდა დიდ ხარჯებს და ამიტომ საჭიროა გაზეთებით სარგებლობდნენ მორიგეობით.

გაზეთს გარდა საჭირო იყო გამომცემლობისთვის ხელის მოკიდება. ჩვენ გამოვეცით სალიტერატურო ყოველთვიური ჟურნალი „ცისარტყელა", ამით ჩვენ ორნაირი საქმე გავაკეთეთ; თავი მოვუყარეთ ყველა დემოკრატიულ მწერლებს ერთ ორგანოში და ვფიქრობთ მუშათა კლასი გავაცნოთ ხელოვნებას. ჟურნალი შინაარსით ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელია. გამოვეცით აგრეთვე საინტერესო წიგნი რუსულ ენაზე ფეოდოროვის, სადაც ძვირფასი სტატისტიკური ცნობებია და მასალა რკინის გზებზე დაავათმყოფებულთა შესახებ. გამოვეცით აგრეთვე მეორე ყრილობის დადგენილებები. განზრახვა გვაქვს გამოვცეთ პროფესიონალური ხასიათის წიგნები, როგორც თარგმანი, აგრეთვე ორიგინალური.

ჩვენ მოვიწვიეთ კონფერენცია მთელი რაიონების კულტურულ ძალებისა, სადაც მივიღეთ დადგენილება გამოვეცა თვიური სამეცნიერო მარქსისტული ჟურნალი, მივმართეთ სათანადო ორგანიზაციას, მაგრამ დღეებითი პასუხი იქიდან არ მიგვიღია. აგრეთვე დავადგინეთ პროფესიონალური კურსების გახსნა თფილისში. ჩვენი ყურადღება მიქცეული იყო აგრეთვე წიგნთ-საცავ სამკითხველოების გახსნისაკენ.

სამკითხველოები გახსნილია თითქმის ყველა მთავარ სადგურებზე: ბათომში, ქობულეთში, ჩაქვაში, სამტრედიაში, ქუთაისში, რიონში, ხრესილში, ტყიბულში, საწირეში, შორაპანში, ყვირილაში, ჭიათურაში, ბელაგორში, ხაშურში, ბორჯომში, თფილისის დეპოში, ნაძალადევში, თფილისის სადგურის მუშების შენობაში, ავჭალაში, საავათმყოფოში და ნავთლუღში. გვაქვს 10 წიგნთ-საცავი მთავარ რაიონში. ყველა ამ წიგნთ-საცავებში არის დიდძალი რუსული წიგნები, არ არის ქართული წიგნები; ამ ნაკლის ასაცილებლად შევიძინეთ ყველა წიგნთ-საცავებისათვის, ყველა ქართული გამოცემული წიგნები 50,000 მან. წიგნებს ვიძენთ ახლაც, რომელსაც ვკინძავთ ჩვენ საკუთარ საკინძველოში და ვაგზავნით რაიონებში.

ჩვენ მოვახდინეთ ყველა სამკითხველოების ხარჯების ცენტრალიზაცია და ცენტრიდან ვფარავთ ხარჯებს. შევიძინეთ სურათები ჩვენი მოღვაწეებისა. ამას გარდა ჩვენ ვკისრულობთ ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას რკინის გზებზე.

გვაქვს ოლბული კიოსკები და აგენტებიც კარგ პირობებში გვყავს ჩაყენებული. 30 სადგურზე არის გახსნილი კიოსკი, წმიდა მოგება ჩვენ ხუთი თვის განმავლობაში დაგვრჩა 100,000 მან. მიუხედავათ იმისა, რომ ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში ხელს გვიშლიან ზოგიერთი აგენტები, ჩვენ ვფიქრობთ ამ საქმის ფართო ნიადაგზე დაყენებას.

კახეთის გზაზედაც გავხსენით კიოსკი; გვაქვს კლუბებიც. წელს ჩვენ გავხსენით კლუბები ქუთაისში, სამტრედიაში, ნაძალადევში და მუშტაიდში. ეხსნით ამ ჟამად შორაპანში.

ჩვენი ყურადღება იყო მიქცეული ლექციების მოწყობას და წერა-კითხვის უცოდინართათვის კურსების გახსნისაკენ ყველა რაიონებში. პირველიც და მეორეც მოისუსტებს, რადგანაც ლექტორებს ვერ ვშოულობთ და კურსებიც ზოგიერთ რაიონებში ვერ მოაწყვეს. თფილისში და ნავთლუღში გავაკეთებით მოხსენება წერეთელს, ჩხენკელს, დევდარიანს, (უკანასკნელ ხაზზე გვყავდა 10 დღის განმავლობაში) ლომთათიძეს და თევზაიას.

ამ რიგათ, ჩვენ განვაგრძობთ კულტურულ მუშაობას და იმედია მომავალში მას კიდევ უფრო გავაფართოვებთ. შემდეგ გაიმართა კამათი ცენტრალური გამგეობისა და კულტურულ კომისიის მუშაობის გარშემო.

ამხ. თავაძე—(სამმართველოს წარმ.) აღნიშნავს, რომ საერთო ხაზი გამგეობის სწორია. მაქსიმალისტების მოთხოვნილებებს ალაგი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ სატარიფო პალატაში ამხანაგების მუშაობა უნდა იყოს შრომის ხელფასით და სხვა და სხვა დარგის მუშებთან შეფარდებული.

რკინის გზების ხელფასი ძლიერ ჩამორჩება სხვა დარგისას და ის თანდათანობით უნდა გაუთანასწორდეს სხვებისას. საავათმყოფოს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. ეკონომიას საავათმყოფოში ალაგი არ უნდა ჰქონდეს და შტატი უნდა აკმაყოფილებდეს სამსახურის მოთხოვნილებას, 8 საათის გატარება უნდა მომხდარიყო შტატის გადიდებით. მომვლელი მოსამსახურეები არჰყოფნით. სახლებს უნდა ადმინისტრაცია აშენებდეს და არა კავშირები მუშების საცხოვრებლად. კანტორის მოხელეების კატეგორიების დაბოლავება საჭირო იყო.

ამხ. კამკამიძე (სამართველოს წარმ.) წინააღმდეგია ზოგიერთ საკითხების საგამომძიებლო კომისიის მიერ ცენტრში გადაცემი. გაზეთის შინაარსი გაუმჯობესებულის უნდა იქნას. კულტურულმა კომისიამ გამომცემლობა უფრო ფართე ნიადაგზე უნდა დააყენოს.

ამხ. თვალაძე (ქუთ. წარმ.) ცენტ. გამგეობაში ნაკლი არის და უნდა გამოსწორდეს. ცენტრის მუშაობა არ არის გადაჯაჭვული პერიფერიებზედ. საჭიროა ცენტრიდან ლექტორების ხან-გამოშვებით გამოგზავნა; თუ ხალხი არ იშოვება, მაშინ ცენტ. გამგეობის წევრები უნდა მოდიოდენ და ადგილობრივათ ეცნობოდენ საქმეებს. მარტო ინსტრუქტორი ყველა რაიონებში ვერას გახდება.

დ. ლორთქიფანიძე (მთავ. სახელოსნო)—მომხრეა კავშირებმა ბინები შეაკეთონ, რადგანაც პირობები ამას მოითხოვს. აღნიშნავს საავათმყოფოს ზოგიერთ დეფექტებს. მოითხოვს სატარიფო პალატაში დაბალი კატეგორიების მოსამსახურეები აწეული იქნენ კატეგორიებში.

დანარჩენი ორატორები—გიორგაძე, მანჯგალაძე, მახარაძე, ს. დოლიძე, ეღენტი აღნიშნავენ ცენტრალურ კომიტეტისა და კულტურულ კომისიის ზოგიერთ დეფექტებს.

შემდეგ კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ცენტრ. გამგეობის და კულტურა-განათლების კომისიის მუშაობის შესახებ, დამაკმაყოფილებლად სცნობს მას და გადადის შემდეგ კითხვაზე".

(შემდეგი იქნება).

გალო სკლიარი.

შეცდომის გასწორება: პირველ წერილში, გამგეობის მოხსენებაში სწერია: „ჩვენ მივიღეთ არტელური სისტემა და შრომის ნორმიროვკა", უნდა იყოს—საქარ. სრულიად პროფესიონალურ კავშირების ყრილობამ მიიღო... და გატარება ჯერ-ჯერობით არ მოხერხდა წარმოებაში.

კონფერენციამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

1 ივლისს თფილისში გახსნილი რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელთა კონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის მუშათა კლასის შეიარაღებულ სახალხო გვარდიას.

რკინის გზის დემოკრატია, რომელმაც პირველად წარმოშვა იდეა სახალხო გვარდიის შექმნისა და რომელმაც მისცა მას თავისი საუკეთესო ამხანაგები, სიამაყით და განსაზღვრული სიხარულით ადევნებს თვალყურს დიდებული საქმის დამცველების ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელთა დიადი ლოზუნგი აღბეჭდილია რევოლიუციონურ პროლეტარიატის დროშაზე.

უდიდესია თქვენი დამსახურება რევოლიუციონურ სამშობლოს წინაშე. დაუფასებელია თქვენი თავგანწირვა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებისათვის. ძნელია იმ გზაზედ მსვლელობა, რომელზედაც თქვენ ბრძოლა გიხდებათ და რომელმაც უნდა მიგვიყვანოს საბოლოო მიზნამდე, მაგრამ ჩვენ ერთნაირად გვრწამს სამართლიანობის იდეის გამარჯვება და ეს ფრთებს ასხამს თქვენს და ჩვენს საერთო მუშაობას და თუ მდგომარეობა მოითხოვს ჩვენ, რკინისგზელები, მზათ ვართ გავათკეცოთ ზურგში საჭირო მუშაობა გამოვყოთ ახალი მებრძოლები ფრონტის გასამაგრებლად და იმ საქმის გასამარჯვებლათ, რომლის ბრწყინვალე დაგვირგვინება ჩვენ ყველას ასე ღრმათ გვრწამს.

გაუმარჯოს მუშათა კლასის სიამაყეს—სახალხო გვარდიას, გაუმარჯოს ფრონტის და ზურგის პროლეტარულ ძმობას!

კონფერენციამ შემდეგი დეპეშები გაუგზავნა: 2) საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს.

რკინისგზელთა პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც გაიხსნა თფილისში 1 ივლისს, გთხოვთ თქვენ გადასცეთ ძმური სალამი და გულწრფელი აღტაცების გრძნობანი რესპუბლიკის ბრწყინვალე დამცველებს, ჩვენ ახალგაზრდა მაგრამ ომის ცეცხლში გამობრძმედილ სახელოვან ჯარს.

მისი დამსახურება სამშობლოს და რევოლიუციის წინაშე, მისი დაუზარელი თავგანწირვა ნათლად მოწმობს ჩვენი დემოკრატიის შვილების თავისუფლების და სამშობლოს განუსაზღვრელ სიყვარულს.

რკინის გზის პროლეტარიატი ღრმა აღტაცებით აღნიშნავს ჩვენი სახელოვანი ჯარის მიერ თავის ჩვეულებრივ სამუშაოს დაუზარებლათ მიტოვებას და მამაცათ ბრძოლის ველისაკენ გამგზავრებას, სახალხო გვარდიასთან ერთად ჩვენი რევოლიუციონური საზღვრების დასაცავათ.

და ამ მებრძოლ ჯარის კაც-მუშას ერთსულოვნათ მიესალმება რკინის გზის პროლეტარიატი.

გაუმარჯოს მშვიდობიან შრომისკენ გზის გამკაფავ ჩვენს ახალგაზრდა ჯარს.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ ფრონტის დამცველთ—რევოლიუციონური ქვეყნის ღირსეულ შვილებს!

რკინის გზაზე

თფილისის საქონლის სადგურიდან. ამას წინად გატანილ იქმნა ოცდა სამი ტომარა სიმინდის ფქვილი, რომლის, ღირებულებაც 90,000 მანეთს უდრიდა. ამ საქმეზე რკინის გზის მილიციამ შეიპყრო ამავე სადგურზე მომუშავე მწონავი სპირიდონ ჯავახიშვილი, უფროსი მუშა კასიანე მიქაშავიძე, ეზოს დარაჯი ვანო არობელიძე და სარქის ოთაროვი. აღნიშნული პირები დანაშაულში გამოტყდნენ, რის შემდეგ გადაეცენ სასამართლო გამომძიებელს, მასვე გადაეცა ფქვილის გაყიდვით აღებული 61,000 მანეთი.

ამავე მილიციამ შეიპყრო ყალბი სასურსათო ბარათების დამამზადებელნი მოქალაქე პანენკო კონსტანტინე სერგის ძე და კოლანოვი იოსებ ვლადიმერის ძე. უკანასკნელ ჯიბეში აღმოაჩნდა ბარათების დასამზადებელი ყალბი ბეჭდები. დამნაშავენი ციხეში გაგზავნეს. კვლევა-ძიების ოქმი გადაეცა თფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს.

ს. დ.-პარტიაში

რკინის გზის სამმართველოში. 29 თიბათვეს შესდგა შეერთებული პარტიული კრება. მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. იმნაიშვილმა. შემდეგ იქნა მოსმენილი ამხ. ალ. ლომთათიძის ვრცელი მოხსენება პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ. აღფრთოვანებული ტაშის ცემა გამოიწვია დამსწრეთა შორის ბათომის შემოერთების ცნობამ, კრება ნასიამოვნები დარჩა, როგორც მოხსენებით, აგრეთვე მთავრობის და ყრილობის მუშაობით და საჭიროთ დაინახა პარტიულ მუშაობის გაძლიერება.

საჭიროა ამნაირი მოხსენებები ხშირად იმართებოდეს სამმართველოში და მიძინებული პარტიული მუშაობა გაცხოველდეს. „ო—რი".

მუშათა შორის

სამტრედია. 30 ივნისს შესდგა სამტრედიის რკ. გზის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, ამხ. ალფეზ თოდუას თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება ადერბეიჯანთან დადებულ ხელშეკრულებაზე; ბათუმი და მისი ოლქი და სურსათი. პირველი ორი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა დამფ. კრების წევრმა ამხ. პ. წულაიამ. კრებამ მას მისცა შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა შესაფერი და დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. შემდეგ ამისა მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: 1) „მოვისმინეთ რა მოხსენება დამფ. კრების წევრის პ. წულაიასი საქართველო-ადერბეიჯანის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ კრება სავსებით იზიარებს მას და გამოსთქვამს, რომ ჩვენი მეზობლები მომავლისთვის მაინც გულწრფელად შეიგნებენ მშვიდობიან მეზობლურ ცხოვრების მნიშვნელობას და ალაგი აღარ ექნება მეზობელთა შორის ყოვლად უსარგებლო და უმიზნო სისხლის ღვრას, 2) მოვისმინეთ რა მოხსენება ბათუმის და მისი ოლქის დედა-საქართველოზე შემოერთების შესახებ, კრება ერთხმად მიესალმება იქ მცხოვრებ დროებით ჩვენგან ჩამოშორებულ ძმებს და სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ მთლიანი საქართველო ჩვენი ღირსეული ხელმძღვანელების მეთაურობით დემოკრატიზმის განმტკიცებით წინ გასწევს მომავლის საკაცობრიო იდეალებისაკენ; კრება აღფრთოვანებით ეგებება ამ შემოერთების ფაქტს, სურსათ-სანოვაგის შესახებ ყველა ორატორი აღნიშნავდა სამტრედიის რკინის გზის კოოპერატივს, რომელიც ემსახურება რამოდენიმე ათას მუშა-მოსამსახურეთ და მათ ოჯახებს, ნაკლები ყურადღება ექცევა ცენტრიდან და ამასთანავე ყველა ხაზს უსვამდა იმ უდავო ფაქტს, რომ ფურნეებში ხშირათ ცხვება სრულიად უვარგისი პური და ხანდიხან რამოდენიმე დღის, ხანკი მთელი კვირაობით სამტრედიის რაიონი მოკლებულია საშვალებას პურის ყიდვისას და უხდება ხშირათ მჟადის ყიდვა კერძო ვაჭრებში. ფურნეებში საშინელი უსუფთაობაა; იმ დღეს, როცა ეს კრება შესდგა 14 ფუთი „გამომცხვარი" პური გამოდგა სრულიად უვარგისი. მოლაპარაკენი აღნიშნავდნენ, რომ ეთხოვოს დამფ. კრების წევრს პ. წულაიას დახმარება ამ მეტად მწვავე საქმის მოგვარებაში, რის შესახებ ამხ. წულაიამ შეჰპირდა დახმარება.

ი. მიქაია.

მზარეულების ცხოვრებიდან. არც ერთი დარგის მუშები არ იმყოფებიან ისეთ უმწეო მდგომარეობაში, როგორც თფილისის მზარეულები. მათი კავშირი უძლურია შეუმსუბუქოს წევრებს გაჭირვებული მდგომარეობა. ამ სიძვირის დროს მზარეულთა ჯამაგირები არ აღემატება 2500 მან. და ეს იმ დროს, როდესაც წევრს ოთხი, ხუთი სული ყავს შესანახი. იმედია, როგორც კავშირი მზარეულების, აგრეთვე სატარიფო პალატა მიაქცევს ყურადღებას მზარეულთა დაქირავებულ მდგომარეობას და ჯამაგირების მომატებით შეეცდებიან მათი ცოტაოდენათ პირობების გაუმჯობესობას. **კ. ცხვედანი.**

პარიკმახერთა შორის. 1 ივლისს, მუშათა სასახლეში შესდგა თფლ. პარიკმახერთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება გამგეობისა, 2) მოხსენება სარე-ვიზიო კომისიისა, 3) არჩევნები გამგეობისა და სხვა.

გამგეობის სახელით ქართულ და რუსულ ენებზედ მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. ქანთარიამ. მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის წევრის ამხ. ფეოდოროვის მოხსენება... სარევიზიო კომისიის სახელით აღნიშნავს, რომ გამგეობას ვერ მიუღია საკმაო ზომები კავშირის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. კავშირის თავჯდომარე და მდივანი ყოფილა ერთი და იგივე პიროვნება, რომელსაც მეტათ საპასუხისმგებლო მოვალეობა პირნათლათ შეუსრულებია... კავშირის კანცელარია დამაკმაყოფილებელია—განსაკუთრებით ოქმები მშვენივრათ არის შედგენილი, დასაკვნის მომხსენებელი...

გამგეობის წევრთა არჩევნები გადიდო შემდეგისთვის. **რიხხვა.**

პროვინცია

თიანეთის მაზრა.

თიანეთის მაზრის დემოკრატია დღეს საშინელ შიშის ქვეშ არის, მრავალ წლობით მყუდროებით მოცული მაზრა, დღეს ყაჩაღთა ბრბოს სათარეშოდ გადაიქცა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ აქაურ ხალხს ასეთი საშინელი შიში ეგრძნოს, როგორიც დღეს მათ ყაჩაღებისაგან ადგიათ; თიანეთის ფედერალისტების კორესპოდენტის ბ. იკოთელის პროვოკაციამ ნაყოფი გამოიღო. ყველას ეხსომება, რომ ამა წლის გასულ მაისის 18-ში ბ. იკოთელმა „სახალხო საქმეში" მოათავსა ვეებერთელა წერილი ყაჩაღ დავით არაბულის საჭიროებისათვის და მიუთითა ყაჩაღს, რომ ერწოელმა ა. ბუჩიაშვილმა მოაკვლევინა კომისრებს შენი ბიძაშვილიო და ის ხომ სრულიად უდანაშაულო იყოვო. ისიც გააგებია იკოთელმა, რომ ა. ბ-ლი სოციალ-დემოკრატია და აბა შენ იციო. დასძინა, რომ ადმინისტრაცია ძალიან სუსტია, ვერ დგას თავის სიმაღლეზე და აბა ახლა გაქვს დრო სცარცვე მშვიდობის მოყვარე ხალხი, იძიე შური ა. ბ—ზე და კომისრებზედო. ასეთივე შინაარსით იყო სავსე, მესამე ხმოსანთა ყრილობაზე შეტანილი შეკითხვა ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების მიერ, მოკლულ არაბულის შესახებ. ასეთმა „თანაგრძნობით" გამოძახილმა ძლიერ გაათამამა ყაჩაღი არაბული, რომელმაც გარს შემოიკრიბა ყველა ის ელემენტები, რომლებიც წინად იყვნენ ცნობის მიმცემნი გავარდნილ არაბულისა, ისე, როგორც მისი ბიძაშვილი, რომელიც კომისრებმა დაიჭირეს და გზაში გაქცევის დროს იქნა მოკლული. გათამამებულმა ყაჩაღმა არაბულმა უკვე მიზნად დაისახა ცარცვოს ხალხი, ამოჟლიტოს ა. ბ—ლის ოჯახობა, შური იძიოს კომისრებზე დ სადაც მოასწრებს სოციალ-დემოკრატებს, დახოცოს ისინი.—კიდევ ერთი ფაქტი. ივნისის პირველ რიცხვებში, საბადურის უღელ-ტეხილზე გაცარცვა ყაჩაღმა არაბულმა 7—8 კაცი—თიანეთის ეგრეთ წოდებული სპეკულიანტები, იყო გვარდიელი მ. ფრიდონოვიც, რომელიც მიდიოდა თბილისში. როდესაც მორჩნენ ყაჩაღები ცარცვას დ. არაბული, შეჰკითხებოდა ეროვნულ დემოკრატს ვლ. კაკაურიძეს, თუ რომელ პარტიას ეკუთვნის ის, კაკაურიძეს თავი გაუცვნია როგორც ფედერალისტი, რის შემდეგ არაბულს დაეწერა წერილი და სასიკვდილოდ გამზადებულ გვარდიელ ფრიდონოვისათვის გადაეცა არაბულს, რათა ის წერილი მიეტანა ერობის გამგეობის წევრ ფედერალისტ ბ. ლ. დოლიაშვილისათვის. წერილი მიიღო ბ. ლ. დოლიაშვილმა და წაიკითხა, რის შემდეგ გამგეობის წევრმა ნ. ნადიბაიძემ მოსთხოვა დოლიაშვილს, რომ წერილი ყველას გასაგონად წაეკითხა. მაგრამ დოლიაშვილმა წერილი დახია, რომელიც აკრიფა მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწემ. ა. რევიამ და მიაწერა ერთმანეთზე ამ წერილში ყაჩაღი არაბული მრავალ მარგალიტ სიტყვათა შორის ემუქრება სასიკვდილოდ კომისარ კალანდაძეს და გამგეობის წევრს ამხ. ნ. ნადიბაიძეს და სხვას. დღეს ბ. იკოთელების დაბეზღებით ამხ. ა. ბუჩ-ლის ოჯახი გამაგრებულ საგარს წააგავს, და ელიან დღეს თუ ხვალ გახდებიან მსხვერპლი იკოთელის პროვოკაციისა. 22 ივნისს ერწოს რაიონის ყოფილი კომისარი კალანდაძე ოჯახობით და ახმეტის რაიონის კომისარით მიემგზავრებოდა თბილისში, თიანეთ-ახმეტას შუა მდებარე ტყეში ატეხეს საშინელი სროლა ყაჩაღებმა, რომელსაც მეთაურობდა შურის ძიებით გაჟღენთილი ყაჩაღი დ. არაბული; სროლის დროს მძიმედ დასჭრეს მარჯვენა ბარძაყში კალანდაძე; ცხენი, რომელზედაც ის იჯდა, მოკლულ იქნა, რის შემდეგ დარწმუნებულნი, რომ კალანდაძე უკვე მკვდარი იყო, ყაჩაღები წავიდნენ თავისუფლად და მეორე დღეს გათავხედებული ყაჩაღები თავს დაესხნენ თვით დ. თიანეთს. ეს არის ბ. იკოთელის მიერ „სახალხო საქმეში" დაწერილ პროვოკაციის ნაყოფი...

ყაჩაღი დავით არაბული გასულ წელს დაჭერილი იყო, როგორც ცნობილი ყაჩაღი, მაზ. მილიციის უფროს ალ. ბოგდანოვის მიერ, მაგრამ გამომძიებელმა ფოთოლაშვილმა ის გაანთავისუფლა. მილიციის უფროსი ბოგდანოვი ხედავდა რა არაბულის საშიშროებას, ის დაატუსაღა და გაგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ადმინისტრატიული წესით. ყაჩაღი არაბული მილიციონერებს გზაში გაექცათ. გაჯავრებულმა ფოთოლაშვილმა კომისრებს და ერობის გამგეობის ადმინისტრატიულ განყოფილებას ბრძოლა გამოუცხადა არაბულის დაჭერისათვის, რადგანაც არაბული, როგორც „უდანაშაულო" პირი მის მიერ იყო განთავისუფლებული, რომელიც ადმინისტრატიული წესით აღარ უნდა დაეჭირათ.

ერობის გამგეობამ აღნიშნულ ფოთოლაშვილს ასეთი მოქმედებისათვის უნდობლობა გამოუცხადა, რის შემდეგ გადაყვანილ იქნა ის უკეთეს ადგილზე, თფილისში. მაგრამ იუსტიციის სამინისტრომ თიანეთის დემოკრატიას, ფოთოლაშვილი მონატრა.—ნაცვლად ფოთოლაშვილისა თიანეთში დანიშნეს გამომძიებლად ვინმე კორინთელი, რომლის მოქმედებამ კიდევ უფრო გაათამამა ყაჩაღი არაბული, ისე როგორც ბ. იკოთელის კორესპოდენციამ. და განა ასეთი პირების ხელში უნდა იყოს თავისუფალი სასამართლოს ბედიღბალი? თუ ეს ტყუილია, შეეკითხეთ თიანეთის ერობის გამგეობას. მაგრამ იუსტიციის სამინისტრომ თიანეთის ერობის გამგეობას ხომ დაუძახა „ციც"-ო.

ასეთი მოსამართლეების წყალობითაა, რომ დღეს თიანეთის ერობას ეხარჯება მრავალი ათასები და ხვალ კი, შეიძლება შინაგან საქმეთა სამინისტროსაც დასჭირდეს მრავალი ათასების დახარჯვა...

ერთ ადგილას ხალხის მიერ ნდობა დაკარგული და უვარგისი მოხელე, სხვა ადგილას უფრო მაღალ თანამდებობას ღებულობს.

ბ. იკოთელი და ძმანი მათნი რას დაგიდევენ,—ისინი ხომ პასუხისმგებელნი არავის წინაშე არ არიან? იკოთელი ხომ ხალხს მოუწოდებდა თავის პროვოკაციულ წერილში, რომ „ხალხი გმინავს, იზნიქება გადასახადებისა და აუტანელი ბეგრის წინაშეო". ასეთმა პროვოკაციამ ყაჩაღებს ფართო სათარეშო ასპარეზი მოუპოვა თიანეთის მაზრაში. საჭიროა სასწრაფოდ იქნას ზომები მიღებული ყაჩაღობის ლიკვიდაციისათვის ვისგანაც ჯერ-არს, თორემ ბევრს საუკეთესო ამხანაგებს გამოასალმებენ სიცოცხლეს.

მეტეორი.

ქ. სიღნაღის ქალთა პროფესიონალური სკოლა ო. ა. ყამუტაშვილისა წელს დაამთავრა თორმეტმა მოწაფემ, რომელთაც მიიღეს ატესტატები: ილოშვილი ანა, სესიაშვილი მარო, მოლაშვილი ელენე, ყანდაშვილი მარო, კოზაკიშვილი ნინა, ჯანაშვილი ნინა, ვარაზაშვილი ანა, ნატროშვილი ნინა, ბილანაშვილი მარო, სპანდერაშვილი ქსენია, ფხოველიშვილი ნინა, მენთეშაშვილი ელენე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

---

*) ფული მივიღეთ.

განცხადებანი

დაკარგე

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან მიღებული მოწმობა 1920 წ. 11 ივნისს სამხედრო ბეგარის მოსახდელად მოწერილობისა ვახტანგ ვასილის ძე გარაყანიძის სახელზე. ვაცხადებ გაუქმებულად.

(1—1)

1919 წ. მაისში დ. ლაგოდეხიდან სადღაც წავიდა

პავლე ივანეს ძე გოდერძოვი

მის შემდეგ მის შესახებ ვერაფერი გავიგეთ თუ სად იმყოფება, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: დ. ლაგოდეხი, ალექსანდრე გოდერძოვს.

(2184—2—1)

ყოფილი დამაარსებელი და გამგე
სრულ-უფლებიანი გიმნაზიისა
მათემატიკის მასწავლებელი, ივ. მარკ. მაჩაიძე. ამზადებს მოზრდილთა 4,5,6,7 კლას. შესასვლელად. ყველა სასწავლ. და მოწაფეებს განმეორებითი გამოცდებზე; მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: პლეხანოვის ქუჩა 25. (ყოფ. მიხეილის ქ.) შესავალი ალექსის ქ. 5. 9—11 ს. 4—6 ს. საღ.
(2169—7—2)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდ. მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3 მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

იყიდება
საკერავი მანქანა-შკაფი
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

სალეწი
ოთხ ძალიანი „ელვორტი", სანიავებელი და ცხენის მორთულობა იყიდება ტეხნიკურ კანტორაში „კატიტოვი". რუსთაველის პრ. 27.
(2107 3—3)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვეჭიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი ივ. გოკერია
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საბეშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

ექიმი ზ. ჰ. ალასოვი
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.
1951—თ.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი
ნ. ლ. ტერიაშვილი
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვით სნეულებანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48 6)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბეჟგის ქ. № 5. (1742 თ.)

ექიმი
ნ. მ. ბარძიმაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა, ავათმყოფებს იღებს დილის 8—10. საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—3)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.